

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 8

ეკონომიკური

დანაშაული

1. ქურდობა (მცდელობა)
2. მარცვა
3. ყაჩაღობა

# 1. ქურდობა (მცდელობა)

## ქურდობის მცდელობა

### განჩინება

#970-აპ

9 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ლ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ხ-შვილის საპროცესუო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ჯ. ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარება, ასევე, ქურდობის მცდელობა სადგომში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 15 მარტს, 3.<sup>40</sup> საათზე, გორის რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე გორის რაიონული სამმართველოს #1 განყოფილების მუშაკებმა დააკავეს ჯ. ლ-შვილი, რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა გადაჭრილი, ცალღულიანი თოფი, ე.წ. „აბრეზი“ სამი ვაზნით, რომლებიც მას უკანონოდ ჰქონდა შეძენილი, ინახავდა და ატარებდა. ჯ. ლ-შვილის პირადი ჩხრეკისას ასევე ამოიღეს თეთრი ფერის, პოლიმერული მასალისაგან დამზადებული თოკი, წითელტარიანი დასაკეცი დანა და შავი ქურთუკი, რომელიც ტანთ ეცვა. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ცალღულიანი თოფი დამზადებულია ქარხნული წესით; მას კუსტარულად გადაჭრილი აქვს ლულა და კონდახი, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება 16 მმ კალიბრის ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. ამოღებული სამი ვაზნა ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

2007 წლის 15 მარტს, დაახლოებით 0 საათზე, ქარელის რაიონში მცხოვრებმა ჯ. ლ-შვილმა ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწია გორის რაიონში მცხ. ა. კ-მის კუთვნილ საქონლის სადგომში, თანაქონი, პოლიმერული მასალისაგან დამზადებული თეთრი თოკი რქებზე მოაბა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, გამოიყვანა სადგომიდან და შეეცადა, ფარულად დაუფლებოდა მას, მაგრამ დაზარალებულმა ა. კ-მემ შეიტყო აღნიშნულის შესახებ და სახლიდან გარეთ გამოვიდა, რის შემდეგაც ჯ. ლ-შვილი იძულებული გახდა, პირუტყვი მიეტოვებინა და მიმალულიყო. იმავე ღამეს, გორის რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე ჯ. ლ-შვილი დააკავეს პოლიციელებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ჯ. ლ-შვილს განესაზღვრა 11 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 15 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა კ. ხ-შვილმა. მან ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ჯ. ლ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით და ჯარიმა 8500 ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებულ ჯ. ლ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ჯ. ლ-შვილს დანაშაული არ ჩაუდენია; მას ცემისა და წამების შემდეგ იძულებით მოაწერინეს ხელი ცარიელ ქაღალდზე, გადაჭრილი თოფი კი ჩაუდეს, ვითომ დაკავებისას აღმოაჩნდა; ამ ფაქტზე სახალხო დამცველის წარმომადგენლისა და ადვოკატის ჩარევის შემდეგ დაიწყო წინასწარი გამოძიება, თუმცა დამნაშავე პოლიციელები საქართველოს სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლით პასუხისმგებში არ მიუციათ; იარაღის შეძენა-შენახვისა და ტარების გარდა, ჯ. ლ-შვილს

მიუმატეს ქურდობის მცდელობის ბრალდება; გარდა ამისა, დაირღვა საგამომიებო ქვემდებარეობა, რადგან დაკავების ადგილი ეკუთვნის ქარელის რაიონს, ხოლო გამომიება ჩაატარა გორის რაიონულმა პოლიციამ; ასევე გაუგებარია, როგორ შეძლებდა ჯ. ლ-შვილი ნახევარ საათში 8 კმ-ის გავლას სოფელ რიეთიდან ურბნისის ხიდამდე; ქურდობის მცდელობის ბრალდება დაფუძნებულია მხოლოდ ძროხიდან აღებული ბეწვისა და გრეხილი თოკის ექსპერტიზებზე, რომლებიც სააღბათა; გადაჭრილი თოფიდან თითის ანაბეჭდები არ აულიათ და არც დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა ჩაუტარებიათ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განაჩენი ჯ. ლ-შვილის მიმართ უსამართლოა, რადგან მას ისე დაუნიშნეს დამატებითი სასჯელი, რომ არ შეუმოწმებიათ მსჯავრდებულის ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლები და სხვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვოკატს მიაჩნია, რომ ორივე ინსტანციის სასამართლოებმა დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის მე-40, სსკ-ის 503-ე და 536-ე მუხლების მოთხოვნები, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ჯ. ლ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადასტურებულია და ექვს არ იწვევს, რომ ჯ. ლ-შვილმა ჩაიბინა სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმის წინასწარი გამოძიებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, მათ შორის - დაზარალებულ ა. კ-ძის, მოწმეების - ა. მ-შვილის, ჯ. მ-შვილისა და სხვათა ჩვენებები, ქიმიური, ბიოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ჯ. ლ-შვილი დამნაშავედაა ცნობილი და სასჯელი დანიშნული აქვს აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის მხოლოდ "ბ" ქვეპუნქტით და ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ჯ. ლ-შვილი დამნაშავედ ეცნო სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითაც.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ჯ. ლ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის განაჩენიდან ჯ. ლ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ჯ. ლ-შვილისათვის სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ქურდობა**

### **განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენით თ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რის გამოც მას სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენით თ. მ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

წარსულში სასამართლოევი თ. მ-შვილი 2005 წლის ივნისში, რიცხვი დაუდგენელია, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ქ. ქუთაისში, მცხოვრებ შ. მ-ძეს, რა დროსაც მათ განიზრახეს, თერჯოლის რაიონის სოფელ ... ფარულად გაეტაცებინათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შ. მ-ძე და თ. მ-შვილი 2005 წლის 21 ივნისს, 8 საათზე, ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან გაემგზავრნენ ძვერი-ტყიბულის მიმართულებით მოძრავი ავტობუსით და მივიდნენ თერჯოლის რაიონში, ჩამოვიდნენ ავტობუსიდან და ფეხით გააგრძელეს მოძრაობა. მივიდნენ რა სოფელ საფარეთთან, მთაზე, იქ არსებული საძოვრიდან ფარულად გაიტაცეს ამავე სოფელში მცხოვრები ი. ქ-შვილის კუთვნილი ხარი, ღირებული 1000 ლარად, ასევე, ამავე სოფელში მცხოვრები ვ. ა-ძის კუთვნილი ხარი, ღირებული 1000 ლარად, რაც 22 ივნისს მიჰყიდეს გორის რაიონის მცხოვრებ ა. ც-ძეს, რითაც დაზარალებულებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

2005 წლის 22 ივნისს თ. მ-შვილი შ. მ-ძესთან ერთად იმყოფებოდა თერჯოლის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც მათ განიზრახეს, ამავე სოფელში არსებული ჩაის პლანტაციიდან ფარულად გაეტაცებინათ მსხვილფეხა პირუტყვი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შ. მ-ძე და თ. მ-შვილი იმავე დღეს, დილის საათებში, ზუსტი დრო დაუდგენელია, ერთად მივიდნენ თერჯოლის რაიონში არსებულ ჩაის პლანტაციაში, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ამავე სოფელში მცხოვრები ნ. ბ-შვილის კუთვნილი ძროხა, ღირებული 800 ლარად, რომელიც იმავე დღეს მიჰყიდეს გორის რაიონში მცხოვრებ ა. ც-ძეს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს დაზარალებულ ნ. ბ-შვილს.

2005 წლის 10 ივლისს თ. მ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა შ. მ-ძეს, რა დროსაც განიზრახეს ტყიბულის რაიონის ტერიტორიიდან ფარულად გაეტაცებინათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამ მიზნით შ. მ-ძე და თ. მ-შვილი 2005 წლის 10 ივლისს, დილის საათებში, ქ. ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან გაემგზავრნენ ტყიბულის მიმართულებით მოძრავი ავტობუსით და მივიდნენ ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირში. იქიდან ფეხით ავიდნენ სოფელ ჭყებთან არსებულ მთაზე, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ტყიბულის რაიონში მცხოვრები შ. ქ-ძის კუთვნილი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ხარი, ღირებული 1000 ლარად და ამავე სოფელში მცხოვრები ფ. გ-ძის ხარი, ღირებული 1000 ლარად, რომლებიც გაყიდეს სამტრედიის საკოლმეურნეო ბაზარში, რითაც დაზარალებულებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

2005 წლის 16 ივლისს თ. მ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა შ. მ-ძეს და თერჯოლის რაიონში მცხოვრებ ა. ჭ-ძეს. მათ განიზრახეს თერჯოლის რაიონის სოფელ ... ფარულად გაეტაცებინათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რისთვისაც ა. ჭ-ძე, თ. მ-შვილი და შ. მ-ძე 2005 წლის 16 ივლისს, 8 საათზე, ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან გაემგზავრნენ ქუთაისი-ძვერი-ტყიბულის მიმართულებით მოძრავი ავტობუსით. ისინი მივიდნენ რა თერჯოლის რაიონის სოფელ ... გადასახვევთან, ჩამოვიდნენ ავტობუსიდან და ფეხით წავიდნენ თერჯოლის რაიონის სოფელ ... მდებარე ტყის მასივის სიღრმეში. მათ მიაღწიეს ამავე სოფელში მდებარე, ე.წ. "გვიმრალის" საძოვრებს, საიდანაც ფარულად გაიტაცეს სოფელ ... მცხოვრები გ. მ-ძის კუთვნილი, მოწითალო-წაბლისფერი ხარი, ღირებული 800 ლარად, და ტყიბულის რაიონის სოფელ ცუცხვათში მცხოვრები ი. კ-შვილის კუთვნილი, ერთი სული ნაცრისფერი ხარი, ღირებული 1000 ლარად, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს დაზარალებულებს. მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული

პირუტყვი წაიყვანეს ტყის ბილიკებით და 2005 წლის 17 ივლისს, 8 საათზე, ჩაიყვანეს თერჯოლის რაიონის სოფელ ... მდებარე, ე.წ. "დაჩების" ტერიტორიაზე, რომლებიც გადამალეს ტყის მასივში და დაელოდნენ სამტრედიიდან იმ პირებს, ვისთვისაც უნდა მიეყიდათ მოპარული პირუტყვი. იმავე დღეს, 15.25 საათზე, თერჯოლის რაიონის სოფელ ... თ. მ-შვილისა და ა. ჭმისაგან ამოდებულ იქნა გ. მ-ძისა და ი. კ-შვილის კუთვნილი პირუტყვი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. მ-შვილმა. აპელანტი საჩივრით გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის შემცირებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განაჩენით ყ მსჯავრდებულ თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. მ-შვილს შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით - შეუმცირდა 1 წლით და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენით მისთვის განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. მ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას, საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დადასტურებულად მიაჩნია მსჯავრდებულ თ. მ-შვილის მიმართ სასამართლოს განაჩენით შერაცხული ბრალდება, რასაც არც თვითონ მსჯავრდებული უარყოფს. ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ თ. მ-შვილის მოთხოვნას სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, რადგან სასჯელის ზომა განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, შედეგებისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც იგი ვერ ჩათვლება უსამართლო და ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საფუძველი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სასჯელის ნაწილში განაჩენის შეცვლისათვის.

ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომელიც გამომდინარეობს 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან: ვინაიდან ახალი კანონით ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შემსუბუქდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი, თანახმად საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის ქმედება, იმ ნაწილში, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ამასთან, თ. მ-შვილისათვის განაჩენით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან იგი განსაზღვრულია ახალი კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლებით,

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ივნისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. მ-შვილის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა

### განჩინება

#879-აპ-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ჭ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ჭ-ია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რომელიც მას ჩათვლილი ჰქონდა პირობით, რის შედეგადაც მთლიანობაში სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, საიდანაც 5 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო წინა განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი დარჩა უცვლელად, რის გამოც 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

განაჩენით ე. ჭ-ის მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 6 მარტს ე. ჭ-ის ტელეფონით დაუკავშირდა თავისი ნათესავი - ე. ა-ვა და სთხოვა 2 დღით მის დროებით საცხოვრებელ ბინაში დარჩენა, რაზედაც ე. ჭ-იამ თანხმობა განაცხადა. იგი 2006 წლის 7 მარტს მივიდა ე. ა-ვასთან სახლში. ე. ა-ვამ მას გადასცა ბინაში შესასვლელი კარის გასაღები, ხოლო თვითონ გაემგზავრა ქ. ზუგდიდში, ნათესავის დაკრძალვაზე. ბინაში ყოფნისას ე. ჭ-იამ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ე. ა-ვას ნივთების ფარული დაუფლება შემდგომი რეალიზაციისათვის. 2006 წლის 8 მარტს იგი მივიდა თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მდებარე ბაზრობაზე, სადაც სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ზ. ბ-შვილს შესთავაზა, ვითომდა, თავის საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯის 300 აშშ დოლარად შეძენა. ამის შემდეგ მან ზ. ბ-შვილი ავტომანქანით ავეჯის დასათვალისწინებლად მიიყვანა ბინაში. ე. ჭ-იამ ოვალური ფორმის მაგიდა ექვსი სკამით, სერვანტი და კომოდი, ე. ა-ვას დაუკითხავად, 300 აშშ დოლარად მიჰყიდა ზ. ბ-შვილს, რომელმაც მითითებული ავეჯი გადაიტანა ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მდებარე სავაჭრო ობიექტზე. გარდა ამისა, ე. ჭ-იამ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ზემოხსენებულ ბინაში ფარულად დაუფლა ე. ა-ვას კუთვნილ ტელევიზორს, ღირებულს 200 ლარად და იგი გადაიტანა ძიებით დაუდგენელ ადგილას.

აღნიშნული ქმედებით ე. ჭ-იამ დაზარალებულ ე. ა-ვას მიაყენა 1280 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულ ე. ჭ-ის დამცველმა, ადვოკატმა უ. მ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ე. ჭ-ის მიერ ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლზე იმ მოტივით, რომ მის ქმედებაში არ არსებობს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რადგან ე. ჭ-ის ე. ა-ვას კუთვნილი ავეჯის ნაწილი არ გაუყიდა - მან გირაოთი გადასცა იგი სხვა პირს მესაკუთრესთან შეუთანხმებლად, ხოლო რაც შეეხება ტელევიზორს, იგი ე. ჭ-იამ და ე. ა-ვამ ერთობლივად გაყიდეს კომუნალური ხარჯების გადასახდელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 30 აპრილის განაჩენით არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ე. ჭ-ის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ე. ჭ-იმ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მისი ბრალდების საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად, ვინაიდან მიაჩნია: მისი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს და იგი მიეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების სფეროს; უკიდურეს შემთხვევაში მისი ქმედება შეიძლება, შეიცავდეს თვითნებობის ნიშნებს და არა - ქურდობის შემადგენლობას; სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა არაობიექტურად, რა დროსაც არ დაიკითხა მისი მოწმეები; სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესებული იყვნენ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, რის გამოც მას წარუდგინეს უსაფუძვლო ბრალდება; მის მიმართ საქმის წარმოებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები. აღნიშნული გარემოებების გამო კასატორი თვლის, რომ მის მიერ მითითებული დარღვევების გამოსასწორებლად და ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია მისი ბრალდების საქმის ხელახლა არსებითი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ე. ჭ-ის მიმართ და შეამოწმა მისი საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის - მსჯავრდებულ ე. ჭ-ის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუდენია ქურდობა, რადგან ასეთ პოზიციას არ გააჩნია დასაბუთებული საფუძველი ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ უკანასკნელთა დასადგენად საქმეში არსებული მასალების სახით. ე. ჭ-ის ძირითად არგუმენტად წარმოდგენილი აქვს ვერსია იმის თაობაზე, რომ მან დაზარალებულ ე. ა-ვას კუთვნილი ავეჯი კი არ მიისაკუთრა, არამედ დროებით გირაოს სახით ჩადო, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ უკანვე დააბრუნებდა. ეს ვერსია საქმის მასალებით არ დასტურდება და იგი ასევე არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზიდან. მართალია, საქმის სასამართლოში განხილვისას ე. ჭ-იმ წამოაყენა ზემოაღნიშნული ვერსია და დაზარალებულმა ე. ა-ვამაც თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ, როდესაც მან თავისი ავეჯი მოიკითხა, ე. ჭ-იმ უპასუხა: "დალომბარდებული მაქვს და დავაბრუნებო", მაგრამ აღნიშნული არ დასტურდება მოწმე ზ. ბ-შვილის მიერ წინასწარი გამომიხილვისას და სასამართლოში საქმის განხილვისას მიცემული ჩვენებებით, რომლებშიც იგი მიუთითებს, რომ მასა და ე. ჭ-ის შორის მოლაპარაკება იყო ავეჯის მიყიდვაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მაღაზია, სადაც მუშაობდა მოწმე ზ. ბ-შვილი, ეწეოდა ავეჯით ვაჭრობას და იგი არ წარმოადგენდა ლომბარდს. ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ზ. ბ-შვილის დაკითხვისას, რომელსაც ასევე შეკითხვებს უსვამდნენ ე. ჭ-ია და მისი დამცველი, ამ უკანასკნელს გირავნობის საკითხი საერთოდ არ უხსენებიათ და ამის თაობაზე მოწმისათვის არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამთ. განხილული გარემოებების გამო საკასაციო პალატა ვერ დააკმაყოფილებს კასატორის მოთხოვნას ქურდობის ბრალდებაში მისი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ე. ჭ-ის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებისას დაუშვა გარკვეული უზუსტობა, კერძოდ: სასამართლომ აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით, რომლებიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, რაც ჩადენილი იყო არაერთგზის და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული კვალიფიკაცია არასწორია, რადგან განხილული დანაშაული ე. ჭ-იმ ჩაიდინა პირველად, მანამდე მას სხვა დანაშაული არ ჰქონია ჩადენილი, ამიტომ მითითებული ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია) დაკვალიფიცირება უსაფუძვლოა და განაჩენიდან მასზე მითითება უნდა ამოირიცხოს.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებების შედეგად ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შემცირდა კანონით გათვალისწინებული სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის - მაქსიმალური ზომა ექვსი წლიდან ხუთ წლამდე, რის გამოც ამ ნაწილში მსჯავრდებულ ე. ჭ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან (მითითებული რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი კანონის ახალ რედაქციაზე - საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ე. ჭ-იასათვის ქურდობის ჩადენის გამო დანიშნული სასჯელის ზომას (თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით), უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის სამართლიანი და განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების ხასიათისა და მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით ახალი კანონის სანქციით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 20 ოქტომბრის #674 განკარგულებით ე. ჭ-ია შეწყალბულ იქნა, რომლის ძალითაც მას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენით სასჯელის ვადა შეუმცირდა 1 წლით, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში, კერძოდ, სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

ამავე დროს, საკასაციო პალატამ შეამოწმა კასატორის საჩივარში წარმოდგენილი მოსაზრებები მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას დაშვებული საპროცესო დარღვევების თაობაზე, მაგრამ საქმის მასალების შესწავლით ასეთი დარღვევების არსებობა არ დადგინდა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ე. ჭ-იას მიმართ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ე. ჭ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ე. ჭ-იას მსჯავრდებიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) შერაცხული ბრალდება, როგორც უსაფუძვლოდ წარდგენილი, ხოლო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). ამასთან, მსჯავრდებულ ე. ჭ-იას საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 20 ოქტომბრის #674 განკარგულების საფუძველზე განაჩენით დანიშნული რეალური სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლით შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოოდ რეალური სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ქურდობა**

### **განჩინება**

#571-აპ-08

17 თებერვალი, 2009 წ ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ნ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გა-



მოიწვია; ასევე - ქურდობის მცდელობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით ნ. ნ-შვილს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად აღნიშნულისა, მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2007 წლის მაისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ნ. ნ-შვილი და დაუდგენელი პირი მივიდნენ ქ. წყალტუბოში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, ბოქლომის დაზიანებით უკანონოდ შეაღწიეს ბ. ხ-ძის სარდაფში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ სხვადასხვა ნივთს, რითიც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მოპარული ნივთებიდან უქანგავი ფოლადისაგან დამზადებული მავთულის ხვია ნ. ნ-შვილმა შესანახად მიაბარა ნ. გ-ძეს, რაც პოლიციელებმა ამოიღეს წინასწარი გამოძიებისას.

2007 წლის 11 ივნისს ნ. ნ-შვილი დაუკავშირდა ტ. ხ-იანს და ერთად მივიდნენ წყალტუბოში მდებარე ცენტრალურ საავადმყოფოსთან, უკანონოდ შეაღწიეს მის ადმინისტრაციულ შენობაში, ავიდნენ მე-5 სართულზე, თანაქონი ცულისა და ქანჩ-გასაღების გამოყენებით დააზიანეს ლაბორატორიული განყოფილების სამი კაბინეტის კარის საკეტები, მაგრამ, ვინაიდან იქ დაუფლებსათვის სასურველი ნივთები ვერ იპოვეს, კარის საკეტის დაზიანების გზით შეაღწიეს ამავე განყოფილების მეოთხე ოთახში, საიდანაც გამოიტანეს „ორსკის“ ფირმის მაცივარი და თოკის მეშვეობით დაამაგრეს თანაქონ ურიკაზე. ამის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ იმავე კაბინეტში და შეეცადნენ მეორე მაცივრის გამოტანას, მაგრამ მისი დაუფლება ვერ შეძლეს, რადგან დანაშაულის ჩადენის მომენტში დააკავეს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ნ-შვილს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 11 ივნისიდან. მასვე დაზარალებულ ბ. ხ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 646 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ნ-შვილმა და ითხოვა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ნ. ნ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, როგორც ზედმეტად შერაცხული; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ნ. ნ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას ბ. ხ-ძის სადრაფი არ გაუქურდავს, ამიტომ ამ ნაწილში ითხოვს გამართლებას; საბოლოოდ ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმის გათვალისწინებით, რომ ჰყავს უმუშევარი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც იმყოფებიან შიმშილობის ზღვარზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ ნ. ნ-შვილმა ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე - ქურდობის მცდელობა ჯგუფურად, არაერთგზის და საცავში უკანონო შეღწევით. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის, დაზარალებულების - მ. გ-იანისა და ბ. ხ-ძის, მოწმეების - გ. უ-ას, რ. ქ-იას, ტ. ხ-ისა და ნ. გ-ძის ჩვენებები, ასევე - დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა.

ამასთან, საქმეშია სახელმწიფო ბრალმდებლისა და ზემდგომი პროკურორის წერილობითი შუამდგომლობა ბ. ხ-ძის სარდაფის გაქურდავასთან დაკავშირებით ნ. ნ-შვილის მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ამის მიუხედავად, ორივე ინსტანციის სასამართლომ ნ. ნ-შვილი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითაც, რაც გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებულის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გარდა ამისა დადგენილია, რომ ნ. ნ-შვილი წინა დანაშაულის ჩადენისათვის დააკავეს 2006 წლის 20 თებერვალს და იგი გათავისუფლდა იმავე წლის 23 თებერვალს – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ამდენად, ნ. ნ-შვილს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან მოხდელი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 3 დღის ვადით.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის დროს ზუსტად უნდა დადგინდეს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის მოუხდეელი ნაწილი, რაც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 11 თვესა და 27 დღეს.

ნ. ნ-შვილს, მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით, დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს და გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ნ. ნ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენიდან ამოირიგოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ნ. ნ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ნ. ნ-შვილისათვის ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდეელი ნაწილი – 11 თვე, 27 დღე და ნ. ნ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 5 წლით, 11 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ქურდობა**

#### **განჩინება**

#1243-აპ-08

24 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განაჩენით ვ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

ვ. ხ-ძეს მსჯავრი დაედო საცავში უკანონო შეღწევით დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ივნისში ვ. ხ-ძემ უკანონოდ შეაღწია სოფელ გ-ში განთავსებული აჭარის ტელევიზიის გადამცემი სადგურის შენობის მეორე სართულზე არსებულ ოთახში, სადაც ფარულად დაეუფლა აჭარის ტელევიზიის კუთვნილ, "სკრინსერვისის" ფირმის, 17182,8 ლარად ღირებულ გადამცემ აპარატურას, რასაც ინახავდა თბილისში, თავისი საცხოვრებელი სახლის სარდაფში, საიდანაც იგი ამოღებულ იქნა 2007 წლის 14 მარტს, საცხოვრებელი სახლის გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის დროს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ხ-ძემ. აპელანტი, მსჯავრდებული კ. ხ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, გამართლებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე - სასჯელის ზომად 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას იმ მოტივით, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას; ადრე ნასამართლევ არ ყოფილა; შერყეული აქვს ჯანმრთელობა; მის მიერ მოპარული აპარატურის ღირებულება დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით შეფასდა 7500 ლარად, რაც, აპელანტის განმარტებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა და უპირატესობა მიანიჭა დაზარალებული ორგანიზაციის წერილს, რომელშიც მოპარული აპარატურის ღირებულება ბუღალტერმა შეაფასა 17500 ლარად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: მსჯავრდებულ კ. ხ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ კ. ხ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა კ. ხ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი, მსჯავრდებული კ. ხ-ძე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ, გამართლებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში, მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას იმავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ხ-ძის მიმართ და შეამოწმა მისი საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კ. ხ-ძეს მსჯავრი დაედო საცავში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობისათვის. კანონის თანახმად, პირის მსჯავრდებისათვის ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნით, როგორცაა ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, საჭიროა, რომ ზიანი, რომელიც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებით მიადგა დაზარალებულს, აღემატებოდეს 10 000 ლარს. საქმეში არსებობს დაცვის მხარის მიერ ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, კ. ხ-ძის მიერ მოპარული აპარატურის რეალური ღირებულება განისაზღვრება 7500 ლარიდან 8472 ლარამდე ფარგლებში რაც, კანონის თანახმად, არ წარმოადგენს დიდ ოდენობას. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო აღნიშნული მტკიცებულება მაშინ, როდესაც, საქმეში არ მოიპოვება სხვა სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ კ. ხ-ძის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული აპარატურის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ კ. ხ-ძის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებულ კ. ხ-ძეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, როგორც უსაფუძვლოდ წარდგენილი, ხოლო მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

ამასთან, მსჯავრდებულ კ. ხ-ძეს, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის #915 განკარგულების საფუძველზე, დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - უნდა შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ხ-ძის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. ხ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ კ. ხ-მეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება, როგორც უსაფუძვლოდ წარდგენილი. კ. ხ-მის ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. ამასთან, მსჯავრდებულ კ. ხ-მეს, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 31 დეკემბრის #915 განკარგულების საფუძველზე, დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს 2007 წლის 14 მარტიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ კ. ხ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### ქურდობა

#### განჩინება

#1155-აპ-08

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ი. ტყეშელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ლისა და მისი დამცველის, ადვოკატ ვ. ნ-იდის, აგრეთვე, მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განაჩენით ი. გ-ლი, და კ. ქ-შვილი, მსჯავრდებულ იქნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც ი. გ-ელს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა - 4 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო კ. ქ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა - 4 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენით ი. გ-ლსა და კ. ქ-შვილს მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. გ-ლი და კ. ქ-შვილი 2007 წლის შემოდგომაზე სამუშაოდ იმყოფებოდნენ გორის რაიონის სოფელ შერთულში და ცხოვრობდნენ ი. გ-ლის სიმამრის, მ. მ-მის ოჯახში. ი. გ-ლს საკუთრებაში ჰქონდა ტრაქტორი, რომლის დეტალი, ე.წ. "დინამო", მწყობრიდან იყო გამოსული, რის გამოც მას ხელი ეშლებოდა სამუშაოს შესრულებაში. ი. გ-ლი დანაშაულებრივად დაუკავშირდა კ. ქ-შვილს და მათ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ ი. ლ-მის კუთვნილი ტრაქტორის მატორის ნაწილს.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ი. გ-ელი და კ. ქ-შვილი 2007 წლის 2 დეკემბერს, ღამის საათებში, მივიდნენ ი. ლ-მის საცხოვრებელი სახლის წინ მდგარ "ბელორუსის" მარკის ტრაქტორთან და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოხსნეს მას ნაწილი, ე.წ. "დინამო". აღნიშნული "დინამო" ი. გ-ლმა და კ. ქ-შვილმა წაიღეს ი. გ-ლის სიმამრის, მ. მ-მის სახლში, საიდანაც მოპარული ნივთი 2007 წლის 4 დეკემბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა და იგი დაუბრუნეს დაზარალებულ ი. ლ-მეს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ი. გ-ლის დამცველმა, ადვოკატმა ვ. ნ-ძემ და მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ქ. გ-ვამ. აპელანტი - ადვოკატი ვ. ნ-ძე, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვდა მსჯავრდებულ ი. გ-ლისათვის სასჯელის შემსუბუქებასა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას. აპელანტი - ადვოკატი ქ. გ-ვა თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება. აპელანტი თავის მოთხოვნას ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: საქმის სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულმა ი. გ-ლმა უარყო კ. ქ-შვილის მონაწილეობა მის მიერ ჩადენილ დანაშაულში; სასამართლომ განაჩენს კ. ქ-შვილის მსჯავრდების ნაწილში საფუძველად დაუდო დაზარალებულ ი. ლ-ძის არასარწმუნო და წინააღმდეგობრივი ჩვენებები; საქმეზე მოწმედ დაკითხულ პირთა ჩვენებები კი არანაირად არ ადასტურებენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში კ. ქ-შვილის მონაწილეობას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 24 ივნისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტთა მოთხოვნები, ხოლო გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულების - ი. გ-ლისა და კ. ქ-შვილის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების დამცველმა ადვოკატებმა - ვ. ნ-ძემ და ქ. გ-ვამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივებით, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ იმავე საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებში, ითხოვენ მსჯავრდებულ ი. გ-ლისათვის სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის მიმართ - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას მსჯავრდებულმა კ. ქ-შვილმა და მისმა დამცველმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს. ადვოკატმა ქ. გ-ვამ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მსჯავრდებულის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. დაზარალებულ ი. ლ-ძის ჩვენება, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კ. ქ-შვილის მსჯავრდებისას, ფაქტობრივად ვერ ამხელს მას შერაცხული დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია. საბოლოოდ კასატორმა ქ. გ-ვამ ითხოვა, რომ გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, ხოლო კ. ქ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულმა ი. გ-ლმა და მისმა დამცველმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს, რა დროსაც კასატორმა - ადვოკატმა ვ. ნ-ძემ დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, მან ითხოვა, რომ ი. გ-ლს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება მის მიერ კ. ქ-შვილთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით ქურდობის ჯგუფურად ჩადენის თაობაზე და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის - ვადა შეუმცირდეს ხუთი თვით, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ი. გ-ლი. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ი. გ-ლთან ერთად ქურდობაში კ. ქ-შვილის მონაწილეობა, რის გამოც ი. გ-ლს განაჩენით უსაფუძველოდ აქვს შერაცხული ქურდობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. საბოლოოდ, აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულმა ი. გ-ლმა და მისმა დამცველმა ვ. ნ-ძემ ითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანა.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრებს და აღნიშნა, რომ კასატორთა მოთხოვნები უსაფუძველოა. მისი აზრით, საქმეში მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები ი. გ-ლისა და კ. ქ-შვილის მსჯავრდებისათვის, ხოლო მათ მიმართ სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას არ ყოფილა დაშვებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დარღვევები, რაც შეიძლება გახდეს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი. საბოლოოდ პროკურორმა ქ. ჩ-შვილმა საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულების - ი. გ-ლისა და კ. ქ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ი. გ-ლის, კ. ქ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ი. გ-ლის დამცველის, ადვოკატ ვ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი, დაზუსტებული მოთხოვნით, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის ბრალულობის თაობაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძველი მისი მსჯავრდებისათვის დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლებიც შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული პირის მსჯავრდებისათვის. სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა თუნდაც ერთი ისეთი სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც კ. ქ-შვილს ამხელდა დანაშაულის ჩადენაში. ასეთ მტკიცებულებად ვერ გამოდგება დაზარალებულ ი. ლ-ძის ჩვენებაც, რომელშიც იგი მხოლოდ ეჭვს გამოთქვამს მომხდარ დანაშაულში ი. გ-ლთან ერთად კ. ქ-შვილის შესაძლო მონაწილეობის თაობაზე, რადგან იგი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდს, რაც არ არის დადასტურებული სხვა უტყუარი მტკიცებულებით. ასეთ შემთხვევაში, თანახმად საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილისა, ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს იმ პირის სასარგებლოდ, ვისაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კ. ქ-შვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას.

უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში აღნიშნავს: "სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე ახალი მტკიცებულება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის დასაბუთებას გააბათილებდა". საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილსა და საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილს, რომელთა თანახმად: "არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს", ხოლო მოცემულ შემთხვევაში ბრალმდებელმა მხარემ სასამართლოში ვერ დაადასტურა, რომ კ. ქ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა ის დანაშაული, რაც მას განაჩენით შეერაცხა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას კ. ქ-შვილის მიმართ არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნები, რომელთა მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული, რა დროსაც ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე - გამამართლებელი გარემოებანი, ხოლო ბრალდებულისა და მისი დამცველის ყველა განცხადება უდანაშაულობის თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

ამრიგად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას და მსჯავრდებულ კ. ქ-შვილის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევები, რამაც განაპირობა მის მიმართ დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო განაჩენის გამოტანა და რაც, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ: მსჯავრდებულ კ. ქ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე შერაცხული ბრალდება და, საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ი. გ-ლის მსჯავრდების ნაწილშიც, კერძოდ: ი. გ-ლს უნდა მოეხსნას საქართველოს სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, რომ მან ქურდობა ჩაიდინა ჯგუფურად - კ. ქ-შვილთან ერთად წინასწარი შეთანხმებით და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით.

ამავე დროს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ი. გ-ლის დამცველის, ადვოკატ ვ. ნ-ძის მოთხოვნას სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თაობაზე მისი უსაფუძველობის გამო. საქმეში არსებული მასალებით სარწმუნოდ არის დადასტურებული ი. გ-ლის მიერ ქურდობის ჩადენა სატრანსპორტო საშუალების ხელყოფით, რასაც არც დაცვის მხარე უარყოფს. რაც შეეხება კასატორ ვ. ნ-ძის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ იმ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომელთა გამოც იგი ითხოვს ი. გ-ლისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ხსენებული შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით დაუნიშნა მას სასამართლომ კანონით გათვალისწინებულ მინიმუმთან მიხლოებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით, რის გამოც იგი ვერ იქნება მიჩნეული ზედმეტად მკაცრ და უსამართლო ზომად. ზემოთითხებულის გათვალისწინ-

ნებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ი. გ-ლის მიმართ დანიშნული სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულთა მიმართ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ი. გ-ლისა და მისი დამცველის, ადვოკატ ვ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი, დაზუსტებული მოთხოვნით, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ კახა ქისიშვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ი. გ-ელს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ ი. გ-ლის ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით.

მსჯავრდებულ კ. ქ-შვილს მოეხსნას იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე შერაცხული ბრალდება და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

კ. ქ-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

კ. ქ-შვილს განემართოს მისი უფლება - საქართველოს სსსკ-ის 219-ე-228-ე მუხლებით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს მისთვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ი. გ-ლის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ქურდობა**

#### **განჩინება**

#1560-აპ-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თეთრი წყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ა. ნ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 აგვისტოდან.

საქმეზე ნვითმტკიცებად ცნობილი ნივთები ხელწერილით დაუბრუნდა დაზარალებულს.

განაჩენით მსჯავრდებულ ა. ნ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ნ-ძე 2008 წლის 15 აგვისტოს, დღისით, იმყოფებოდა ქ. თეთრი წყაროში, აღმაშენებლის ქ. #5-ში, სადაც შეკრებილნი იყვნენ ქ. თეთრი წყაროში მცხოვრები მამაკაცები და სვამდნენ არაყს. როდესაც სასმელი გამოელიათ, სუფრის ერთ-ერთმა წევრმა - ზ. ბ-ურმა ა. ნ-ძეს უთხრა, რომ იქვე გვერდით, ცხოვრობდა მისი თანაკლასელი მეგობარი - ი. დ-შვილი, მისულიყო მასთან მისი სახელით და იგი გამოატანდა სასმელს. ა. ნ-ძე დაახლოებით 11.00 - 12.00 საათის შუალედში მივიდა ი. დ-შვილის სახლთან, დაუმახა რამდენჯერმე, მაგრამ პასუხი არავინ გასცა, რადგან ი. დ-შვილი მეუღლესა და ბავშვებთან ერთად გადასული იყო მეზობელთან და სახლში არავინ იმყოფებოდა. ა. ნ-ძე დარწმუნდა, რომ სახლში არავინ იყო, განიზრახა ესარგებლა ამ გარემოებით და გაექურდა ი. დ-შვილის საცხოვრებელი სახლი. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით შევიდა ეზოში, ავიდა მეორე სართულის აივანზე და ფარულად შეაღწია მისაღებ ოთახში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ჭურჭლის კარადაზე დაწყობილ, ი. დ-შვილის კუთვნილ „ნოკიას“ ფირმის ორ მობილურ ტელეფონს, ერთს - ღირებულს 300 ლარად, ხოლო მეორეს - 450 ლარად, ასევე ტელეფონებთან დადებულ ოქროს ჯაჭვს ოქროს ჯვრით - ღირებულს 600 ლარად და მამაკაცის საქორწინო ბაჯადლო ბეჭედს - ღირებულს 250 ლარად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ა. ნ-ძე ნაქურდალი ნივთებით გამოვიდა დ-შვილების საცხოვრებელი სახლიდან და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით მოპარული ნივთები ამოიღეს თეთრი წყაროს შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 აგვისტოდან.

მსჯავრდებულის ა. ნ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ ჰყავს 95 წლის მამა და ინვალიდი ძმა; არის ავადმყოფი; ჩადენილ დანაშაულს განიცდის და მთლიანად აღიარებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ა. ნ-ძის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ ი. დ-შვილისა და მოწმეების - ვ. ი-ვის, ზ. ბ-ურის, ი. კ-ვის, ო. ლ-ოს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღების ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მასალებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ა. ნ-ძემ ჩაიდინა მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ა. ნ-ძეს 1998 წელს ჩადენილი დანაშაული-სათვის ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და, შესაბამისად, შეუმცირდეს სასჯელი.

ამასთან, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის ყველა მომდევნო ნაწილი მოიცავს წინა ნაწილს, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი დაენიშნოს ამ მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ა. ნ-ძეს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. მსჯავრდებულ ა. ნ-ძის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**



საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნო-  
ემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. ნ-ძეს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე  
მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტი.

მსჯავრდებულ ა. ნ-ძის ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III  
ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით და მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავი-  
სუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც დაეწყოს 2008 წლის 16 აგვისტოდან.

განჩინება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ქურდობა**

### **განჩინება**

#907-აპ-08

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენ-  
ლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ მ. კ-კოს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენზე, რომლითაც მ. კ-კო ცნო-  
ბილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილითა და იმავე მუხლის II  
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის განაჩენით მ. კ-კო ცნობილ იქნა  
დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილითა და იმავე მუხლის II ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე  
მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფ-  
ლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 2 აგვისტოდან.

განაჩენით მ. კ-კოს მსჯავრი დაედო ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ და-  
უფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;  
იმანვე ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო  
მისაკუთრების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 2 აგვისტოს სოფელ ა-ის ბაზარში მ. კ-კომ შეამჩნია სოფელ ა-ში მცხოვრები ლ.  
ს-ძე, რომელსაც ცელოფნის პარკში ჰქონდა ჩადებული საფულე. მან განიზრახა მართლსაწინააღ-  
მდეგოდ დაუფლებოდა ამ საფულეს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. კ-კო ჩუმად  
მიუახლოვდა ლ. ს-ძეს, გაუჭრა პარკი, ამოაცალა საფულე და მიიმალა. აღნიშნული ქმედებით  
დაზარალებულ ლ. ს-ძეს მიაყენა 250 ლარის ზარალი.

იმავე დღეს სოფელ ა-ის ბაზარში მყოფმა მ. კ-კომ შეამჩნია, რომ სოფელ ა-ში მცხოვრებ შ.  
კ-ძეს ღია ჩანთიდან უჩანდა გახსნილი საფულე. მან განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლე-  
ბოდა ამ საფულეს, ჩუმად მიუახლოვდა შ. კ-ძეს, ჩაუყო ხელი ჩანთაში ჩადებულ საფულეში,  
ამოიღო ორი ხუთლარიანი კუპიურა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად  
დაუფლა დაზარალებულის კუთვნილ თანხას. ამ დროს მ. კ-კო ამხილეს დაზარალებულმა და  
ბაზარში მყოფმა სხვა მოქალაქეებმა. მისი პირადი ჩხრეკისას ხალათის მარჯვენა ჯიბიდან ამოღე-  
ბულ იქნა შ. კ-ძის კუთვნილი ორი ხუთლარიანი კუპიურა.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. კ-კომ. აპელანტი საჩივრით ითხოვ-  
და ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას,  
მისთვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაი-  
სის განაჩენით ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის განაჩენი დარჩა უც-  
ვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. კ-კომ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ არის ასაკოვანი ქალი, მის კმაყოფაზე მოხუცი დედამთილი, რომელიც მოვლას საჭიროებს, ჰყავს 23 მცირეწლოვანი შვილიშვილი, ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. მსჯავრდებულმა ითხოვა მოუხდელი სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლა.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა თავის ადვოკატთან შეთანხმებით შეცვალა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, რის შესახებაც მ. კ-კოს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. მ-ვამ აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, მსჯავრდებულის პირადი ჩხრეკისას თანხა ამოღებული არ ყოფილა, არ ჩატარებულა ამოცნობა, საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მ. კ-კომ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება.

ამდენად, ადვოკატმა ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მსჯავრდებულის გამართლება და სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით შერაცხული ბრალდების უცვლელად დატოვება და მ. კ-კოს განთავისუფლება სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რადგან იგი პატიმრობაში იმყოფება იმაზე მეტ ხანს, რაც სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით აქვს დანიშნული.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა გ. შ-მემ საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენი მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების - შ. კ-ძის, ხ. გ-იანის, ე. ჩ-ძის ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, პიროვნებად ცნობისა და ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებებით მ. კ-კოს მიერ მასზე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და ამ ნაწილში სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

მ. კ-ოს მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას - ძირითადად დაზარალებულ ლ. ს-ძის ჩვენებას, რომლის განმარტებით, მას მოპარვის მომენტში მ. კ-კო არ დაუნახავს. მას ახსოვს, რომ ვიღაც „ციგნის ქალი“ ტრიალებდა მის გარშემო და ფულის დაკარგვის შემდეგ დაინახა გაქცეული „ციგნის ქალი“, რითაც დაასკვნა, რომ ფულს იგი მოიპარავდა.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მ. კ-კოს მიერ მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობის ჩადენის ფაქტს.

პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

მოწმე ე. ჩ-ძის ჩვენებით, რომელმაც მ. კ-კო გაჩხრიკა და ასევე პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ მსჯავრდებულს აღმოაჩნდა ორი ხუთლარიანი (ერთი ახალი, - მეორე გაცრეცილი, ბოლომოგლეჯილი) და ერთი ორლარიანი კუპიურა, ხოლო ლ. ს-ძის ფული - 250 ლარი მას არ აღმოაჩნდა. ამდენად, დაზარალებულ ლ. ს-ძის, მისი მეუღლე ი. ხ-ძის და ბიძის - ს. ს-ძის მიერ მიცემული ჩვენებები სხვა მტკიცებულებებით არ არის გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მ. კ-კომ ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ

მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად".

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. კ-კოს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების ნაწილში, ხოლო 177-ე მუხლის I ნაწილით კი, იმის გათვალისწინებით, რომ მ. კ-კო პირველადაა სამართალში, არის ასაკოვანი, სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 10 000 ლარი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მთლიანად უნდა გათავისუფლდეს აღნიშნული მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მ. კ-კო დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის V ნაწილით, სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ მ. კ-კოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 1 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. კ-კოს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების ნაწილში.

მ. კ-კოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა - 10.000 (ათასი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. კ-კო მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

მ. კ-კო დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ქურდობა**

#### **განჩინება**

#1557-აპ-08

19 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 აგვისტოს განაჩენით გ. მ-ს გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 26 მაისიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მარტის განაჩენით გ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

გ. მ-მ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა თამარაშვილის ქუჩა მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ქვეშ არსებულ ავტოსადგომზე განთავსებული ავტომანქანების გვერდითა ხედვის სარკეებს და ველოსიპედს. ამ მიზნით გ. მ-ა 2008 წლის 26 მაისს, დაახლოებით 16 საათზე, თავისი "BMჰ-ს" მარკის ავტომანქანით მივიდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც თ. ჯ-ს კუთვნილ "BMჰ-ს" მარკის ავტომანქანას ბრტყელტუჩას გამოყენებით მოხსნა გვერდითა ხედვის სარკეები, ხოლო გ. ჯ-ს ავტომანქანა "OPEL-ჩოლშა-ს" - უკანა ხედვის მარცხენა სარკე. იგი ასევე დაუფლა ავტოფარეხის მესერზე მიბმულ, მ. ჩ-ს კუთვნილ ველოსიპედს.

გ. მ-მ მოპარული ნივთები მოათავსა თავის ავტომანქანაში, რა დროსაც იგი შეამჩნიეს დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა და ავტომანქანიდან ამოიღეს აღნიშნული ნივთები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა დ. ხ-მ და ითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. მ-ა თავის საჩივარში მიუთითებს, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება გ. მ-ს მიერ დანაშაულის ჩადენა და ითხოვს მის მიმართ განაჩენის გაუქმებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების ობიექტური ანალიზი უდავოდ ცხადჰყოფს, რომ გ. მ-მ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. იგი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და მის ავტომანქანაში აღმოჩნდა მოპარული ნივთები. მოწმეების - გ. კ-სა და ე. ვ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ გ. მ-ია შემთხვევის ადგილზე ნახეს. ავტომანქანის სარკეების ქურდობის მომენტში იგი დააფიქსირა ვიდეოკამერამ, რომლის ჩანაწერი დაკავებულსაც აჩვენეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის მოტივები უსაფუძვლოა, რადგან მოპოვებული არაერთი უტყუარი მტკიცებულება საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან, წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადაში გ. მ-ს მოხდილად ჩაეთვალა დაკავების დრო - 2007 წლის 10 ოქტომბრიდან იმავე წლის 11 ოქტომბრამდე, რის შესახებ ნათლად მიუთითებული. შაკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რომლის სახე და ზომა ზუსტად უნდა დადგინდეს. ამ შემთხვევაში წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან გ. მ-ს მოსახდელი ჰქონდა 11 თვე და 29 დღე.

გარდა აღნიშნულისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: გ. მ-სათვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს - 5 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 11 თვე, 29 დღე და გ. მ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 5 წლით, 11 თვით და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა

### განჩინება

#1551-აპ-08

2 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ნ., ნ. და ნ. მ-შვილების ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. გ-შვილისა და მ. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის განაჩენით:

1. ნ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლით და 6 თვით, ხოლო 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 21 სექტემბრიდან. მასვე დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 10 ათასი აშშ დოლარის გადახდა;

2. ნ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლით და 6 თვით, ხოლო 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 ოქტომბრიდან;

3. მ. მა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 ოქტომბრიდან;

4. ნ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნ. მ-შვილმა თავის დებთან - ნ. და მ. მ-შვილებთან და დედასთან - ნ. მ-შვილთან ერთად განიზრახა პერიოდულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დეიდაშვილის - დ. მ-შვილის კუთვნილ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, აღნიშნული პირები სხვადასხვა დროს, 2006 წლის მაისიდან 2007 წლის 9 იანვრამდე, სტუმრობდნენ დ. მ-შვილს, რომლის ბინიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ ოქროს ნივთებს და ისინი სხვადასხვა დროს ჩააბარეს ლომბარდში, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 7 200 ლარის ზიანი.

2007 წლის 23 სექტემბერს ნ. მა-შვილი იმყოფებოდა თავისი დეიდის - მ. მ-შვილის სახლში. იგი შევიდა მისაღებ ოთახში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა 10 ათას აშშ დოლარს და მიიმალა.

ნ. მ-შვილი ქირით ცხოვრობდა ლ. ჯ-მის ბინაში და განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა მის თანხას. ამისათვის მან 2007 წლის 4 აპრილს ლ. ჯ-მეს სთხოვა, ბანკიდან გამოეტანა 1 800 ლარი სამეწარმეო საქმიანობისათვის, თან დაჰპირდა, რომ მოგებას გაუნაწილებდა. ლ. ჯ-მე დასთანხმდა და თავისი მეუღლის - დ. კ-შვილის სახელით ისესხა 1 800 ლარი და გადასცა ნ. მ-შვილს. ამ უკანასკნელმა მიატოვა დროებითი საცხოვრებელი, წავიდა სოფელში და აღნიშნული თანხა გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის, რითიც დაზარალებულს მიაყენა 2265 ლარის ოდენობის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და ნ. მ-შვილის ადვოკატმა მ. გ-შვილმა. ნ. მა-შვილმა იშუამდგომლა დ. მ-შვილის ოქროულობის ქურდობის ბრალდების ეპიზოდში გამართლება და სასჯელის შემსუბუქება, ხოლო სხვა მსჯავრდებულებმა მოითხოვეს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ მ. მ-შვილს შორის. ამ უკანასკნელს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სხვა მსჯავრდებულების მიმართ განაჩენი დარჩა უცვლელად.

ნ. მ-შვილის ადვოკატი მ. გ-შვილი თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელი უტყუარი მტკიცებულებები; საქმის წინასწარი გამოძიებისას, მოთხოვნის მიუხედავად, ნ. მ-შვილი არ იქნა უზრუნველყოფილი დაცვის უფლებით;

აღნიშნულის გამო, კასატორი მოითხოვს ნ. მ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებულების - ნ. და ნ. მ-შვილების ადვოკატი მ. ყ-შვილი თავის საკასაციო საჩივრებში მიუთითებს, რომ სასამართლო არ შეეცადა დაედგინა, რატომ არ აცნობა ნ. კ-შვილმა თავის მეუღლეს სატელეფონო საუბრების დავალიანების შესახებ; სააპელაციო სასამართლოში მაინც უნდა დათვალერებულიყო ამოღებული ოქროს ნივთები, რაც არ მომხდარა; არასწორია, თითქოს ნ. მ-შვილს არ გადაუხდია ბანკის ვალი და მისი პროცენტი. სწორედ ამის გამო დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოში ითხოვდა დაზარალებულის დაკითხვას, რაც არ დაკმაყოფილდა; დ. მ-შვილმა ამოღებული ოქროს ნივთებიდან ყველა ვერ ამოიციწო, რის გამოც ეს ნივთები მის მეუღლეს წარედგინა ამოსაცნობად, თუმცა ამის შესახებ ოქმი საქმეში არ მოიპოვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს ნ. მ-შვილის მიმართ საქმის შეწყვეტას, ასევე საქმის შეწყვეტას ნ. მ-შვილის მიმართ ოქროს ნივთების ქურდობის ბრალდების ეპიზოდში, ხოლო მ. მ-შვილის კუთვნილი 10 ათასი აშშ დოლარის ქურდობისათვის - სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. მ-შვილი დაკავებისთანავე უარს აცხადებდა ადვოკატის მომსახურებაზე. გარდა დაკავების ოქმისა, აღნიშნულზე მეტყველებს თავად ნ. მ-შვილის არაერთი წერილობითი განცხადებაც. ამასთან დაკავშირებით ადვოკატ მ. გ-შვილის საჩივრის მოტივი უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა მოტივს უტყუარ მტკიცებულებათა საქმეში არ არსებობის შესახებაც, კერძოდ:

დაზარალებული დ. მ-შვილი თავის ჩვენებებში ნათლად მიუთითებს, რომ 2007 წლის 9 იანვარს მასთან სახლში იმყოფებოდნენ ნ., ნ. და ნ. მ-შვილები. მან თავისი ოქროს რგოლი მოიხსნა და შეინახა სხვა ოქროს ნივთებთან ერთად. მეორე დილით აღმოაჩინა, რომ არც ოქროს რგოლი და არც სხვა ნივთები ადგილზე აღარ იყო. დ. მ-შვილმა ასევე მიუთითა, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოიციწო თავისი ოქროსულობა.

საქმეშია მ., ნ. და ნ. მ-შვილების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებები ლომბარდთან, სადაც აღნიშნულ პირთა მიერ ჩაბარებული ოქროს ნივთები საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოიციწო დაზარალებულმა.

ის გარემოება, რომ როგორც კასატორი მიუთითებს, საქმეში არ მოიპოვება დ. მ-შვილის მეუღლის - ნ. კ-შვილის მიერ ოქროსულობის ამოციწობის ოქმები, მსჯავრდებულთა უდანაშაულობაზე არ მეტყველებს და არც გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებულობაზე ახდენს გავლენას.

რაც შეეხება დაზარალებულ ლ. ჯ-ძეს, იგი ამომწურავად დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც მიუთითა, რომ თანხის მიღების შემდეგ ნ. მ-შვილმა მოულოდნელად მიატოვა ნაქირავები ბინა და წავიდა საჩხერის რაიონის სოფელ ...-ში. ამ უკანასკნელს მისთვის თანხა არ დაუბრუნებია. ლ. ჯ-ძემ ასევე განაცხადა, რომ იგი ნ. მ-შვილმა "ფაქტიურად მოატყუა".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ განაჩენში არასწორადაა აღნიშნული ნ. მ-შვილის მიერ მ. მ-შვილის კუთვნილი 10 ათასი აშშ დოლარის დაუფლების დრო - 2007 წლის 23 სექტემბერი.

თავის პირველივე განცხადებაში მ. მ-შვილი მიუთითებს, რომ თავისმა დისშვილმა ფული მოჰპარა 2007 წლის 23 ივლისს, რის შემდეგ ორი თვის განმავლობაში თავად ცდილობდა თანხის დაბრუნებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ვერ შეძლო, მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. ამასვე ადასტურებს დაზარალებული თავის ყველა ჩვენებაში, მათ შორის, სასამართლოშიც. თავად მსჯავრდებული ნ. მ-შვილიც აღნიშნავს, რომ დეიდამისის კუთვნილი ფული მოიპარა 2007 წლის ივლისში. დანაშაულის ჩადენის ეს დროა მითითებული საქმის წინასწარი გამოძიებისას შედგენილ

საპროცესო გადაწყვეტილებებში, მათ შორის - დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მოსამართლის ბრძანებაში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. გარდა ამისა, ნ. მ-შვილი დააკავეს 2007 წლის 21 სექტემბერს (საიდანაც მას აეთვალა სასჯელის მოხდის ვადა) და, ცხადია, იგი ფულის ქურდობას ვერ ჩაიდენდა იმავე წლის 23 სექტემბერს.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენის დროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნ. მ-შვილისათვის ბრალად შერაცხული ქურდობების ჩადენისას მოქმედი სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახეზე იყო ერთი მუხლით გათვალისწინებული არაერთგზისი დანაშაული, რაც მხოლოდ ერთი სასჯელის დანიშვნას გულისხმობდა. სსკ-ის მე-15 მუხლში შეტანილი ცვლილება ამოქმედდა 2007 წლის 2 აგვისტოდან და ნ. მ-შვილის ქმედებები უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა ერთი და იმავე მუხლით ცალ-ცალკე, არამედ ერთი - 177-ე მუხლით, მისი მაკვალიფიცირებელი ნიშნით "არაერთგზისობითაც". მატერიალური კანონის მოთხოვნის ამ დარღვევამ მნიშვნელოვნად გააუარესა ნ. მ-შვილის მდგომარეობა და საბოლოოდ გამოიწვია მკაცრი სასჯელის დანიშვნა, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპსაც. აღნიშნულის გამო, ნ. მ-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სსკ-ის 177-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, ნ. მ-შვილის ქმედება საბოლოოდ უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით.

გარდა ამისა, მსჯავრდებულ ნ. მ-შვილს მ. მ-შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 10 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და სააპელაციო პალატის განაჩენი ამ მიმართებითაც უნდა შეიცვალოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ნ. მ-შვილის, ნ. მ-შვილის და ნ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. გ-შვილისა და მ. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენიდან ნ. მ-შვილის მიმართ ამოირიგხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი;

ნ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედებები დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და ნ. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ნ. მ-შვილს დაზარალებულ მ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ნ. მ-შვილისა და ნ. მ-შვილის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### ქურდობა

#### განჩინება

#133-აპ-09

24 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. თ-შვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით თ. თ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენით თ. თ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობის, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 19 იანვარს გორის რაიონში მცხოვრებმა თ. თ-შვილმა განიზრახა, უკანონოდ შეეღწია ამავე სოფელში, მის მეზობლად მცხოვრებ მ. ე-შვილის საცხოვრებელ ბინაში, რათა დაუფლებოდა იქ არსებულ სხვადასხვა საოჯახო ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თ. თ-შვილმა 2008 წლის 19 იანვარს, ღამის საათებში, უკანონოდ შეაღწია მ. ე-შვილის საცხოვრებელ ბინაში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა "ნოკიას" ფირმის მობილურ ტელეფონს, ელექტროდუმელს, გაზქურასა და ორ ცალ თხევადი გაზის ბალონს, რითაც დაზარალებულ მ. ე-შვილს მიაყენა 350 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. თ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ქ. გ-ვამ. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენის შეცვლას შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ თ. თ-შვილის გამართლებას მის მიერ ქურდობის ჩადენის თაობაზე წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით შემდეგი მოტივით: სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ თ. თ-შვილმა ჩადინა მისთვის განაჩენით შერაცხული ქმედება, რის გამოც განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო. იგი ემყარება დაზარალებულ, აწ გარდაცვლილ ბ. ე-შვილის არათანმიმდევრულ, სავარაუდო ჩვენებასა და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებს.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენით უცვლელად დატოვა მსჯავრდებულის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ადვოკატმა ქ. გ-ვამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ თ. თ-შვილის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ქურდობის ნაწილში მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ თ. თ-შვილის ქმედებაში არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით, იმავე მოტივებიდან გამომდინარე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. თ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ თ. თ-შვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა თ. თ-შვილის მიერ ქურდობის ჩადენას.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებით მსჯავრდებულ თ. თ-შვილის ქმედებას, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ სამზარეულო ოთახი, სადაც თ. თ-შვილი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ ელექტროდუმელს, გაზქურასა და ორ ცალ თხევადი გაზის ბალონს, მდებარეობს ეზოში, საცხოვრებელი სახლის



ხელმარჯვნივ, ცალკე არსებულ ერთსართულიან ნაგებობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია ელექტროლუმის, გაზქურისა და ორი ცალი თხევადი გაზის ბალონის ქურდობის ჩადენას ბინაში უკანონო შეღწევით, რადგან შემთხვევის ადგილი, სადაც მოხდა ქურდობის ფაქტი, როგორც გაირკვა, არ წარმოადგენს საცხოვრებელ ბინას, ადამიანთა მუდმივ სამყოფ ადგილს, იგი არის სადგომი, რომელიც გამოიყენება ადამიანთა დროებითი ყოფნისათვის და ფასეულობათა განსათავსებლად და მდებარეობს საცხოვრებელი სახლისგან მოშორებით.

რაც შეეხება თ. თ-შვილის მიერ ჩადენილ "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტს, რომელიც დაკვალიფიცირებულია, როგორც ქურდობა, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით, სამართლებრივად ასევე არასწორად შეფასდა, რადგან აწ გარდაცვლილი ბ. ე-შვილი წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ თ. თ-შვილი იმ სადამოს, როცა შემთხვევა მოხდა, მასთან სახლში სტუმრად იყო მისული იმ მიზნით, რომ შემდეგ ერთად წასულიყვნენ პაპამისთან ღვინის დასალევად. მასთან სახლში მყოფმა თ. თ-შვილმა მობილური ტელეფონი მოიპარა მაშინ, როცა თვითონ გარეთ გავიდა შეშის მოსატანად. მაშასადამე, თ. თ-შვილის მხრიდან ბინაში უკანონო შეღწევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რაც დასტურდება ზემოაღნიშნული ჩვენებით, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა სასამართლოში საქართველოს სსკ-ის 481-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა თვლის, რომ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, თ. თ-შვილის მიერ როგორც დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონის, ასევე სხვა საოჯახო ნივთების ქურდობის ეპიზოდები მოცული იყო ერთიანი განზრახვითა და გადაწყვეტილებით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თ. თ-შვილი, ერთი მხრივ, მობილურ ტელეფონს, მეორე მხრივ კი სხვა საოჯახო ნივთებს დაეუფლა სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა დროს, მოცემულ შემთხვევაში მან ჩაიდინა ერთი დანაშაული განგრძობადი ფორმით, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ერთიან კვალიფიკაციას. ვინაიდან ჩადენილი ქმედებით დაზარალებულს მიაღვა მნიშვნელოვანი ზიანი, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ თ. თ-შვილის ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ქურდობა, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევითა და მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით, რის გამოც აღნიშნული ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებზე.

მხედველობაში იღებს რა მსჯავრდებულ თ. თ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და შედეგებს, ასევე მის პიროვნულ წარსულსა და საქმის სხვა გარემოებებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შერაცხული დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რაც აუცილებელ ზომას წარმოადგენს მსჯავრდებულის გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

საბოლოოდ საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ თ. თ-შვილის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ თ. თ-შვილის დამცველის, ადვოკატ ქ. გ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებზე, ხოლო საბოლოო სასჯელის ზომად მას განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდისათვის დაეწყოს 2008 წლის 10 თებერვლიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განჩინება

#1550-აპ-08

10 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით ი. ნ-შვილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის II ნაწილით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით - 4 წლითა და 9 თვით (მ. ხ-ის ბინის ქურდობის ეპიზოდი), ხოლო 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 5 წლითა და 3 თვით (შპს-ს ქურდობის ეპიზოდი) თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, ი. ნ-შვილს განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. აღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით ი. ნ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2008 წლის 19 მარტიდან - 1 აპრილის ჩათვლით. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 27 აპრილიდან.

იმავე განაჩენით დაკმაყოფილდა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. გ-ძის შუამდგომლობა და დამტკიცდა 2008 წლის 3 ოქტომბერს დადებული საპროცესო შეთანხმება რუსთავის რაიონულ პროკურატურასა და მსჯავრდებულ ა. ა-შვილს შორის, რომლის შესაბამისად, ა. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე 2 წელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო დანარჩენი 2 წელი საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 2 მაისიდან.

განაჩენით ი. ნ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის განაჩენით ი. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით - 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლებით დამატებითი სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი.

აღნიშნულის შემდეგ ი. ნ-შვილმა, ვერ გააკეთა რა სათანადო დასკვნები, კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ, 2008 წლის 3 იანვარს მან განცხადებით მიმართა რუსთავის რაიონულ პროკურატურას რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების - ზ. კ-ძისა და ს. თ-შვილის, ასევე ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის ინსპექტორების - ნ. ფ-შვილისა და ზ. ს-ძის მიერ მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით. შემდგომში, მოწმეთა დაკითხვებისა და თვით ი. ნ-შვილის ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას, დადასტურდა, რომ მან ცრუდ დაასმინა ზემოაღნიშნული პირები მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში.

2008 წლის მარტში ი. ნ-შვილმა ი. მ-ძესთან ერთად ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, შეაღწია ქ. რუსთავის მე-8 მ/რაიონის მდებარე მ. ხ-შვილის საცხოვრებელ ბინაში და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა ამ უკანასკნელის

კუთვნილ საოჯახო ნივთებს, რომლებიც გასაყიდად მიუტანეს გარე მოვაჭრეებს - მ. თ-რსა და ე. ღ-მეს. მათგან ნივთების ნაწილი ამოღებულ იქნა მიმდინარე წლის აპრილში.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ მ. ხ-შვილს მიადგა 1201 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2008 წლის 27 აპრილს, ღამის საათებში, ი. ნ-შვილმა შეაღწია ქ. რუსთავის მე-17 მ/რაიონის მდებარე შპს „მ-ის“ ოფისში და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა შპს „მ-ის“ კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: „ელჯის“ ფირმის კომპიუტერს - ღირებულს 1536 ლარად და შავი ფერის უკაბელო ტელეფონს - ღირებულს 55 ლარად. აღნიშნული ნივთები წაიღო თავის საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. რუსთავში, სადაც იმყოფებოდა მისი მეგობარი ა. ა-შვილიც, რომელიც ი. ნ-შვილმა გაიყოლა შპს „მ-ის“ ოფისში დარჩენილი ნივთების წამოსაღებად. ისინი ერთად მივიდნენ შპს „მ-ის“ ოფისში, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ „ვოგელის“ ფირმის ტელევიზორს - ღირებულს 400 ლარად, კომპიუტერის პრინტერს და ბენზინგასამართი სადგურ „გრანდის“ საწვავის ტალონებს - ღირებულს 1000 ლარად. შპს „მ-ის“ მათ მიაყენეს 1991 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ი. ნ-შვილის გამართლება ცრუ დასმენისა და დაზარალებულ მ. ხ-შვილის ბინის ქურდობის ეპიზოდებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ჯ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ცრუ დასმენის ფაქტთან დაკავშირებით არის უკანონო, რადგან რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, როდესაც რუსთავის რაიპროკურატურამ ი. ნ-შვილის მიმართ უკანონოდ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ცრუ დასმენაზე.

ასევე უკანონოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ხ-შვილის ბინის ქურდობის ეპიზოდთან დაკავშირებით. საქმეში არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის დანაშაულებრივ ქმედებას ქურდობასთან მიმართებით. გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ ი. მ-ძის ჩვენებას, რომლის მოწმის სახით დაკითხვა არ მოხერხდა, დაცვის მხარის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად.

აღნიშნულით დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: „გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე“.

მსჯავრდებული აღიარებს მხოლოდ შპს „მ-ის“ ქურდობის ფაქტს, რასაც გულწრფელად ინანიებს.

ამნიშნა უნდა შეეხოს ი. ნ-შვილის ქმედებას, გათვალისწინებულს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის I ნაწილით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა საჩივრით ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ი. ნ-შვილის გამართლება საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის II და 177-ე მუხლის II, III ნაწილებში (მ. ხ-ის ეპიზოდი), ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილით (შპს-ს ეპიზოდი) - დამნაშავედ ცნობა და 4 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოტივაციას ცრუ დასმენისა და მ. ხ-შვილის ბინის ქურდობის ეპიზოდებში ი. ნ-შვილის უდანაშაულობის შესახებ, რადგან მისი ბრალი ხსენებული და-

ნაშაულებების ჩადენაში სავსებით არის დადასტურებული საქმის ერთობლივი მასალებით. კერძოდ, დაზარალებულების: ზ. ს-ძის, ნ. ფ-შვილის, ს. თ-შვილის, ზ. კ-ძის, მოწმეების: რ. რ-შვილის, ლ. ა ც-ძისა და სხვათა ჩვენებებით, რომლის შესაბამისად, 2007 წლის 31 იანვარს, ი. ნ-შვილსა და მის მეუღლე ს. ც-შვილს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს, პოლიციის თანამშრომლებს ი. ნ-შვილისათვის არავითარი დაზიანება არ მიუყენებიათ.

წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში თავად მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ: "ჩხუბის დროს ს-ომ მომიქნია სახეში მობილურიანი ხელი, პატრულის თანამშრომლები კი გვაშველებდნენ. მე გავმწარდი, გადავწყვიტე ყველაზე მედია შური და განვაცხადე, რომ მცემეს პოლიციის თანამშრომლებმა". სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში კი განაცხადა, რომ მას სცემეს პოლიციელებმა, ხოლო ერთ-ერთმა პატრულის თანამშრომელმა კი თვალში რაციის ანტენა ჩაარტყა".

აღნიშნულით დასტურდება, რომ ი. ნ-შვილმა თავისი ცემის თაობაზე ცრუდ დაასმინა შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები - ზ. კ-ძე და ს. თ-შვილი, ასევე, ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის ინსპექტორები - ნ. ფ-შვილი და ზ. ს-ძე.

ი. ნ-შვილის მიერ ცრუ დასმენის ფაქტი დადასტურებულია აგრეთვე ბრალდების მხრის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, რომლის შესაბამისად, უცვლელად დარჩა რუსთავის რაიონული პროკურორის 2008 წლის 26 თებერვლის დადგენილება მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ი. მ-ძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2008 წლის მარტში მან ი. ნ-შვილთან ერთად, ამ უკანასკნელის წაქეზებით, გაქურდა მ. ხ-შვილის ბინა და ნაქურდალი ნივთები სარეალიზაციოდ ჩააბარა რუსთავში ე.წ. აღებული თანხა კი ურთიერთშორის გაინაწილეს. ი. მ-ძემ აღიარებითი ჩვენება მისცა, აგრეთვე, მის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. მ-ძეს არავითარი ინტერესი არ გააჩნდა, უსაფუძვლოდ ემხილებინა ი. ნ-შვილი აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში.

ამდენად, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ი. მ-ძემ იგი დანაშაულში ამხილა მხოლოდ იმის გამო, რომ ცრუ ბრალდებით სურდა საკუთარი თავის გადარჩენა.

რაც შეეხება ი. ნ-შვილის მიერ შპს „მ-ის“ ოფისის ქურდობას, აღნიშნული, გარდა მისივე აღიარებითი ჩვენებისა, დადასტურებულია დანაშაულში თანამონაწილე ა. ა-შვილის ჩვენებით, რომლითაც მან აღიარა 2008 წლის 27 აპრილს შპს „მ-დან“ ი. ნ-შვილთან ერთად ტელეფონის, კომპიუტერის პრინტერისა და ბენზინგასამართი სადგურის ტალონების ქურდობის ფაქტი.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარეს არ წარმოდგენია ისეთი ახალი მტკიცებულება, რაც გამოიწვევდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის შეცვლას.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენში და ი. ნ-შვილს „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის II მუხლის I ნაწილის, მე-3, მე-4, მე-5 მუხლების შესაბამისად, გაუნახევრდა 180-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით -3 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 2000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა შევიდეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში და მსჯავრდებულ ი. ნ-შვილისათვის შეფარდებულ სასჯელს - 12 წლით თავისუფლების აღკვეთას - საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით ი. ნ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. ნ-შვილის სასიკეთოდ და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა

### განჩინება

#446-აპ-09

23 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ნ-ძე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 273-ე მუხლის (ხუთი ეპიზოდი) საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად შეეფარდა: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით; იმავე დანაშაულისათვის, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ცალ-ცალკე თითოეული ეპიზოდისათვის დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რომლებიც, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაუნაზღვრდა და თითოეულ ეპიზოდში სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით, ხოლო, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ნ. ნ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. მასვე იმავე განაჩენით, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, აგრეთვე, საექიმო საქმიანობის, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე (გამომიების #08073026) შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს თანხა - 3000 ლარის ოდენობით, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

განაჩენით ნ. ნ-ძეს მსჯავრი დაედო ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორცაა მარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ (2007 წლის 10 ივლისის, 2007 წლის 28 აგვისტოს, 2007 წლის 25 სექტემბრის, 2007 წლის 6 ოქტომბრის, 2008 წლის 9 მარტის ეპიზოდები), რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 5 ივლისს ნ. ნ-მე წითელი ფერის ავტომანქანა „ფოლკსვაგენ-პასატი“ მოძრაობდა თბილისში, ... ქუჩაზე, რა დროსაც ამავე ქუჩის მცხოვრებ ბ. ი-შვილის სახლის წინ მდგარ, მისავე კუთვნილი ავტომანქანის სახურავზე შენიშნა საფულე. მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა აღნიშნულ საფულეს. ამ მიზნით ნ. ნ-მე სხეულით ნახევრად გადმოიწია ავტომანქანის გაღებული ფანჯრიდან და აიღო ბ. ი-შვილის კუთვნილი საფულე, რომელშიც მოთავსებული იყო: 1000 აშშ დოლარი - 10 ცალი 100 - დოლარიანი კუპიურა და 300 ლარი - 1 ცალი 100 - ლარიანი კუპიურა, 2 ცალი 50 - ლარიანი კუპიურა და 5 ცალი 20 - ლარიანი კუპიურა. „თიბისი ბანკის“ საკრედიტო ბარათი 280 აშშ დოლარით; ბ. ი-შვილის სახელზე გაცემული მართვის მოწმობა, პირადობის მოწმობა და ავტომანქანის ტექ. პასპორტი. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება შეამჩნიეს სახლის მეორე სართულზე, ფანჯარასთან მდგომმა, დაზარალებულ ბ. ი-შვილის მეუღლემ - ნ. ს-შვილმა და დეიდამ - ჯ. ს-იანმა. მათ უხმეს ბ. ი-შვილს, რაც გაიგონა ნ. ნ-მემ, რომელმაც ახედა მათ ზემოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გააგრძელა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა - აიღო რა საფულე, ავტომანქანით შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითაც მან დაზარალებულ ბ. ი-შვილს მიაყენა 1000 აშშ დოლარისა და 300 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

გარდა აღნიშნულისა, ნ. ნ-მე 2007 წლის 2 აპრილს თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს IX განყოფილების თანამშრომლებმა ახილეს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დადგენილებით დაჯარიმდა 500 ლარით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, 2007 წლის 6 ოქტომბერს ნ. ნ-მე ადმინისტრაციული წესით დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და ნარკოლოგიური გამოკვლევის #3216294 დასკვნით მას დაუდგინდა მას ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

2007 წლის 10 ივლისს, დაახლოებით 19.40 საათზე, იგი იმყოფებოდა თბილისში, ცოტნე დადიანის ქ.-ზე და იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს და შესამოწმებლად გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის #5664 დასკვნით მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ მიღების ფაქტი.

მანვე გამოძიებით დაუდგინებლ დროსა და ვითარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 28 აგვისტოს, დაახლოებით 16.00 საათზე, იგი იმყოფებოდა თბილისში და იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს და შესამოწმებლად გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის #3417064 დასკვნით მას დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

მანვე გამოძიებით დაუდგინებლ დროსა და ვითარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 25 სექტემბერს, დაახლოებით 18.00 საათზე, იგი იმყოფებოდა ქ. ფოთში და იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს და შესამოწმებლად გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის #2545 დასკვნით მას დაუდგინდა „ბუპრენორფინისა“ და „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

მანვე გამოძიებით დაუდგინებლ დროსა და ვითარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2008 წლის 9 მარტს, დაახლოებით 08.40 საათზე, ნ. ნ-მე იმყოფებოდა თბილისში, და იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შესამოწმებლად გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ლაბორატორიული გამოკვლევის #3411083 დასკვნით მას დაუდგინდა „ბუპრენორფინისა“ და „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. ნ-მის დამცველმა, ადვოკატმა გ. ბ-მემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ნ. ნ-მის ქმედების საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებიდან გა-

მომდინარე, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია ქურდობა მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით და არა - მარცვა; ამასთანავე, აპელანტი ითხოვდა ამ ნაწილში ნ. ნ-ძისათვის სასჯელის ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელიდან 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის პირობით ჩათვლას. გარდა ამისა, იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი იყო მეტისმეტად მკაცრი, ადვოკატი გ. ბ-მე იმავე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში ნ. ნ-ძის მიმართ სასჯელის ზომად ჯარიმის დანიშვნას, თითოეულ ეპიზოდში - 200 ლარის ოდენობით.

აპელანტ გ. ბ-ძის საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და 2009 წლის 8 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის მიმართ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ნ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის მის სასიკეთოდ შეცვლას როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე - სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ნაწილში. მსჯავრდებული გარკვეული არგუმენტებით ასაბუთებს, რომ მას აშკარად არ გაუტაცია დაზარალებულ ბ. ი-შვილის კუთვნილი საფულე, რადგან აღნიშნული საფულის დაუფლებისას არავინ შეუმჩნევია. ამის შესაბამისად, მსჯავრდებული ნ. ნ-მე ითხოვს, რომ მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს - როგორც ქურდობა მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს კანონით გათვალისწინებული მინიმუმი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის მიმართ და შეამოწმა მისი საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ნ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას და მის მიმართ განაჩენის დადგენის დროს სააპელაციო სასამართლომ დაუშვა გარკვეული უზუსტობა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია იმით, რომ სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მომხდარი შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების - ნ. ს-შვილისა და ჯ. ს-იანის მიერ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებებისა და მათ მიერვე პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებების საფუძვლიან გამოკვლევასა და მათ ერთობლიობაში შეფასებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო კანონის ეს მოთხოვნა არ დაიცვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მოწმეებმა სასამართლოში დაკითხვისას განაცხადეს, რომ ისინი ადასტურებენ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მათ მიერ მიცემული ჩვენებების სისწორეს (ამასთან, ეს ჩვენებები სასამართლომ გამოაქვეყნა), მაშინ, როდესაც აღნიშნულ ჩვენებებს შორის აშკარა და არსებითი წინააღმდეგობა არსებობს იმ საკითხში - ნ. ნ-მემ მარცვა ჩაიდინა თუ ქურდობა.

საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოწმე ნ. ს-შვილი თავის პირველ ჩვენებაში, რომელიც მას მიცემული აქვს თითქმის მომხდარი შემთხვევისთანავე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ იცის, ნ. ნ-მემ, როდესაც საფულე აიღო, დაინახა თუ არა იგი. მისი აზრით, ნ. ნ-მეს იგი არ დაუნახავს იმიტომ, რომ მას არ აუხედია მალა, სადაც იგი (ნ. ს-შვილი) სახლის მეორე სართულზე, ფანჯარასთან იდგა. მხოლოდ ორი დღის შემდეგ, ხელმეორედ, დამატებითი დაკითხვისას, მოწმე ნ. ს-შვილი აღნიშნავს, რომ შემდგომ გააცნობიერა - როდესაც მან თავის მეუღლეს დაუძახა, ამ დროს ნ. ნ-მემ მალა აიხედა და შეამჩნია, რომ იგი დაინახეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საფულე მაინც წაიღო.

საყურადღებოა ასევე მოწმე ჯ. ს-იანის ჩვენებებიც. იგი მომხდარი შემთხვევის დროს მოწმე ნ. ს-შვილთან ერთად იდგა ფანჯარასთან. თავის პირველ ჩვენებაში, რომელიც მან გამოძიებას მისცა მომხდარი შემთხვევისთანავე, საერთოდ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, ნ. ნ-მემ შეამჩნია თუ არა ისინი, როდესაც მან საფულე აიღო. ორი დღის შემდეგ ჯ. ს-იანიც ხელმეორედ, დამატებით დაკითხვა, რა დროსაც მან აღნიშნა: როდესაც ნ. ს-შვილმა დაზარალებულს დაუძახა, ამ დროს ნ. ნ-მემ მალა ამოიხედა, მაგრამ მან ამ დროს დაგინახა თუ არა, არ დამინახავსო.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ძირითად მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებული ეს წინააღმდეგობები არც წინასწარ გამოძიებას გაურკვევია და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს. ამასთან, საქმის მასალებიდან არც ის ირკვევა - დაზარალებულ ბ. ი-შვილის, ასევე, მოწმეების - ნ. ს-შვილისა

და ჯ. ს-იანის პირველი დაკითხვის შემდეგ რა აუცილებელი გარემოებებისა თუ საჭიროების გამო დაიკითხნენ ისინი ორი დღის შემდეგ, ხელმოწერედ, რა დროსაც მათ შეცვლილი ჩვენებები მისცეს წინასწარ გამოძიებას.

თვითონ ნ. ნ-ძემ განსასჯელის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ ბ. ი-შვილის კუთვნილი საფულის აღებისას მას არავინ დაუნახავს და გააჩნდა იმის შეგნება, რომ ეს ნივთი მან აიღო სხვისგან ფარულად, ანუ ქურდულად. ამრიგად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ სავსებით შესაძლებელია, მსჯავრდებულ ნ. ნ-ძეს, როდესაც მან ქუჩაში მდგარი ავტომანქანის სახურავიდან აიღო დაზარალებულ ბ. ი-შვილის კუთვნილი საფულე, არ შეუმჩნევია, რომ იგი დაინახეს სახლის მეორე სართულზე, ფანჯარასთან მდგომმა მოწმებმა - ნ. ს-შვილმა და ჯ. ს-იანმა, ხოლო ასეთი ეჭვი არ არის გაბათილებული უტყუარი მტკიცებულებებით, რის გამოც, საპროცესო კანონის მოთხოვნის თანახმად, ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ ისე ჩაატარა სასამართლო გამოძიება, რომ არ გადაწყვიტა ძირითად მტკიცებულებებს, ანუ მოწმეების - ნ. ს-შვილისა და ჯ. ს-იანის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობანი, ხოლო განაჩენის დადგენისას მტკიცებულებები არ შეაფასა ერთობლივად, მათი სარწმუნოების თვალსაზრისით, რის გამოც არასწორი კვალიფიკაცია მიეცა რა ნ. ნ-ძის მიერ ჩადენილ ქმედებას - გამოყენებულ იქნა ის სისხლის სამართლის კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებულიყო. ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა ნ. ნ-ძემ ნამდვილად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა სხვისი მოძრავი ნივთი, უდავოდ დგინდება როგორც დაზარალებულ ბ. ი-შვილისა და მოწმეების ჩვენებებით, ისე - თვით ნ. ნ-ძის ჩვენებითაც, მაგრამ საკასაციო პალატის დასკვნით, საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა შეფასდეს არა ძარცვად, არამედ, როგორც ქურდობად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. რაც შეეხება ამ დანაშაულისათვის ნ. ნ-ძის მიმართ სასჯელის განსაზღვრას, უნდა აღინიშნოს, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და ხასიათის, ასევე თვით მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც წარმოადგენს აუცილებელ ზომას და იგი უნდა შეიკრიბოს გასაჩივრებული განაჩენით ნ. ნ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის (ხუთი ეპიზოდი) საფუძველზე დანიშნულ სხვა სასჯელთან - 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, რის გამოც საბოლოოდ მსჯავრდებულ ნ. ნ-ძეს ძირითად სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. ნ-ძის ბრალდების საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი განაჩენით, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, რ. ნ-ძის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხის - 3000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის დადგენისას არ შეამოწმა, გირაოს შეტანისას იყო თუ არა დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც დაადასტურებს გირაოს შემტანი პირის - რ. ნ-ძის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ ნ. ნ-ძის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი თანხა - 3 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განაჩენი უნდა გაუქმდეს, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, რ. ნ-ძის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხის - 3000 ლარის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და რ. ნ-ძეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხა - 3000 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**



მსჯავრდებულ ნ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ნ. ნ-ძეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მისი ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. აღნიშნული სასჯელი შეიკრიბოს იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის (2007 წლის 10 ივლისის, 2007 წლის 28 აგვისტოს, 2007 წლის 25 სექტემბრის, 2007 წლის 6 ოქტომბრის, 2008 წლის 9 მარტის ეპიზოდები) საფუძველზე დანიშნულ სასჯელთან - 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთასთან და საბოლოოდ მსჯავრდებულ ნ. ნ-ძეს ძირითად სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით. ნ. ნ-ძის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდეს, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა - 3000 ლარი დაუბრუნდეს მის შემტანს - რ. ნ-ძეს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა

### განჩინება

#575-აპ-09

25 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქელიძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-შვილის დამცველის, ადვოკატ ე. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. გ-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. გ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. გ-შვილი 2007 წლის 28 მაისიდან მუშაობდა კერძო დაცვის სამსახურში - შპს „ა-ლ ე-ში“. მისი მუშაობის პერიოდში შპს „ა-ლ ე-სა“ და კომპანია „ს-რ ი-ალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ა-ლ ე-ას“ დაევალი თბილისში, ონიაშვილის ქ.-ზე მდებარე აღნიშნული კომპანიის ოფისის დაცვა. 2008 წლის 25 მაისს გ. გ-შვილმა, იმყოფებოდა რა სამსახურში და ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ისარგებლა კომპანია „ს-რ ი-ალს“ თანამშრომლების არყოფნით, შევიდა აღნიშნული კომპანიის მენეჯერის მოადგილის - მ. ვ-ძის სამუშაო ოთახში, სადაც სამუშაო მაგიდის უჯრაში შენიშნა კომპანიის ოფისში არსებული სეიფის გასაღები. ამ სეიფში ინახებოდა კომპანიის თანამშრომლების პლასტიკური ბარათები და ასევე კომპანიის კუთვნილი თანხა. მან აღნიშნული გასაღებით გააღო სეიფი, სადაც აღმოაჩინა კონვერტში მოთავსებული, კომპანია „ს-რ ი-ალს“ ბუღალტერიის უფროსის - ი. გ-ძის სახელზე რეგისტრირებული კორპორატიული პლასტიკური ბარათი, კოდით -- და იმავე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის - ჯ. ე. მ-ლის სახელზე გაცემული პლასტიკური ბარათი, კოდით -- თავიანთი პინკოდებითურთ, ასევე, ფული. გ. გ-შვილმა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სეიფში მოთავსებულ 300 ლარსა და აღნიშნულ პლასტიკურ ბარათებზე არსებულ თანხებს. 300 ლარის ფარულად დაუფლების შემდეგ, 2008 წლის 25 მაისისა და 2008 წლის 29 ივნისის შუალედში, გ. გ-შვილს პლასტიკური ბარათების გამოყენებით თბილისში, გამ-

სახურდიას ქ. #29-ში არსებული, საქართველოს ბანკის" ბანკომატიდან და გაგარინის მოედანზე მდებარე „პსპ-ს“ აფთიაქის შენობაში განთავსებული „თიხისი“ ბანკის #64 ბანკომატიდან სისტემატურად გამოჰქონდა ამ პლასტიკურ ბარათებზე არსებული თანხები, ხოლო თანხის ყოველი გამოტანის შემდეგ, თავისი დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის მიზნით, პლასტიკურ ბარათებს უკან სეიფში აბრუნებდა. გ. გ-შვილმა აღნიშნული პლასტიკური ბარათებით გამოიტანა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა: ჯ. ე. მ-ლის კუთვნილი პლასტიკური ბარათის მეშვეობით, -, 4700 ლარსა და 3907,80 აშშ დოლარს, ხოლო ი. გ-მის სახელზე რეგისტრირებული კორპორატიული პლასტიკური ბარათის მეშვეობით, კომპანია „ს-რ ი-ალის“ კუთვნილ 2095 ლარსა და 50 თეთრს, ასევე - იმავე პლასტიკურ ბარათზე რიცხულ 404 აშშ დოლარსა და 40 ცენტს. მთლიანად მითვისებულმა თანხამ საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსით შეადგინა 13264 ლარი და 70 თეთრი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ე. ა-შვილმა.

თავის საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ არც საბრალდებო დასკვნიდან და არც განაჩენიდან არ ჩანს, რომელ რიცხვში რა თანხა გამოიტანა გ. გ-შვილმა ბანკომატებიდან; რა თანხების შეჯამებით მიიღო ბრალდებამ და სასამართლომ 13.264, 70 ლარი; გაშიფრული არ არის, რას უდრია 404 აშშ დოლარი და 40 ცენტი ეროვნულ ვალუტაში; ასევე, დაუდგენელია, 2008 წლის 25 მაისიდან 29 ივნისამდე პერიოდში გ. გ-შვილი რომელ დღეს იყო მორიგე, რისი გარკვევაც აუცილებელია, ვინაიდან მას მხოლოდ მორიგეობის დროს გამოჰქონდა თანხები. აპელანტის აზრით, არ დასტურდება გ. გ-შვილის მიერ სეიფიდან 300 ლარის მოპარვის ფაქტი. აპელანტი ასევე აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებულ გულწრფელად აღიარებს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს, არ არის ნასამართლელი, ხასიათდება დადებითად, კმაყოფიანად ჰყავს უმუშევარი მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და ხანდაზმული დედა, იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. მას დანაშაულისკენ უბიძგა გაჭირვებამ. აპელანტი ითხოვდა მსჯავრდებულ გ. გ-შვილის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და მისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 20 მაისის განაჩენით, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი მსჯავრდებულ გ. გ-შვილის მიმართ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში უცვლელად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ე. ა-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს, რომ გ. გ-შვილის ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ამ დანაშაულისათვის მსჯავრდებულს განესაზღვროს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში გ. გ-შვილის ბრალდების საქმის განხილვის დროს და განაჩენის დადგენისას არ იყო დაცული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლით, აგრეთვე, იმავე კოდექსის 496-ე და 538-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამოც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებას საბოლოოდ არასწორი კვალიფიკაცია მიეცა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედებით ზიანი განიცადა ორმა დაზარალებულმა - კომპანია „სიქორინტერნეშნალმა“ და აღნიშნული კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. მ-ლმა, ვინაიდან გ. გ-შვილი საკრედიტო ბარათების მეშვეობით თანხებს ხსნიდა როგორც ჯ. მ-ლის პირადი ანგარიშიდან, რომელზეც ირიცხებოდა პირადად მისი კუთვნილი თანხები, ასევე - ხსენებული კომპანიის კუთვნილი ანგარიშიდან. აღნიშნული ფაქტი უდავოდ დასტურდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაზარალებულებისა და მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებებით, რომლებიც უტყუარ მტკიცებულებებს წარმოადგენს.

ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ, ხელახლა გადაამოწმა რა მსჯავრდებულ გ. გ-შვილის ქმედებით დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობები, საბოლოოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი: გ. გ-შვილს დაზარალებულ ჯ. მ-ლის ანგარიშიდან მოხსნილი აქვს 2900 აშშ დოლარი და 4440 ლარი, ე.ი. სულ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - 8582 ლარი და 40 თეთრი, ხოლო კომპანია „ს-რ ი-ალის“ ანგარიშიდან მოხსნილი აქვს 200 აშშ დოლარი და 2050 ლარი, ე.ი. სულ ეროვნულ ვალუტაში - 2334 ლარი. სააპელაციო სასამართლოს იქვე გამოაქვს დასკვნა, რომ, ვინაიდან ორივე ანგარიშიდან გ. გ-შვილის მიერ მოხსნილი თანხების საერთო ოდენობა შეადგენს 10914 ლარსა და 40 თეთრს, ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ასეთი გადაწყვეტა სამართლებრივად არასწორია, რადგან: 1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-შვილის ქმედებით ზიანი მიადგა ორ სხვადასხვა დაზარალებულს; 2. სააპელაციო სასამართლომ მის მიერ ჩატარებული გამოძიებით სარწმუნოდ დაადგინა, რომ (აღნიშნული ქმედებით) თითოეული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა ცალ-ცალკე, არც ერთი არ აღწევს 10 000 ლარს; 3. როდესაც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იმ ქმედებით, რომელიც გამოიხატა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში, ხოლო ამ ქმედებით ზიანი მიადგა ორ ან მეტ დაზარალებულს, აღნიშნული ქმედების კვალიფიკაცია უნდა დადგინდეს არა ყველა დაზარალებულისათვის ერთობლივად მიყენებული ზიანის ოდენობის, არამედ - ცალკე, თითოეული დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის მიხედვით.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გ. გ-შვილის მსჯავრდებისას დაუშვა ასევე საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-შვილის მიერ ჩადენილია არა ქურდობა დიდი ოდენობით, არამედ - ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. რაც შეეხება ამ დანაშაულისათვის გ. გ-შვილის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრას, საკასაციო პალატა თვლის, რომ ჩადენილი ქმედების ხასიათისა და შედეგების, აგრეთვე მისი ჩამდენის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მას სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც წარმოადგენს აუცილებელ და საკმარის ზომას მსჯავრდებულის გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. გ-შვილის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. გ-შვილის დამცველის, ადვოკატ ე. ა-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. გ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. ძარცვა**

### **ძარცვა**

## განჩინება

#976-აპ-08

28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ომხარელი,  
პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. მ-ძე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენით ზ. მ-ძეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2003 წლის 11 ივლისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ზ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით. აღნიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული:

2008 წლის 30 იანვარს ზ. მ-ძე და ი. თ-ძე მივიდნენ ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ ავტომანქანასთან, რომელსაც მართავდა ვ. რ-ძე ე.წ. "ტაქსთან" და მძღოლს მოელაპარაკნენ მათი წაყვანის თაობაზე. ტაქსით მომსახურების საფასური - ორი ლარი ავტომანქანაში ჩაჯდომისთანავე გადაიხადა ზ. მ-ძემ, კერძოდ, მან მიაწოდა მძღოლს ათლარიანი კუპიურა და ხურდად მიიღო რვა ლარი. როდესაც ისინი მივიდნენ #... კორპუსთან მდებარე სასურსათო მაღაზიასთან, ზ. მ-ძე გადავიდა ავტომანქანიდან და შევიდა მაღაზიაში. მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ ზ. მ-ძე ჩაჯდა ავტომანქანაში და ვ. რ-ძეს მოსთხოვა მის მიერ მისთვის გადაცემული ათლარიანის უკან დაბრუნება, რაზედაც ტაქსის მძღოლისაგან უარი მიიღო. ამის შემდეგ ზ. მ-ძემ ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო დანა, მიადო იგი მუცელზე ვ. რ-ძეს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით გამოსძალა ჯერ 10 ლარი, ხოლო შემდეგ - 6 ლარი, სულ - 16 ლარი. ამის შემდეგ ვ. რ-ძემ პირველივე შესაძლებლობისთანავე მომხდარის შესახებ შეატყობინა საპატრულო პოლიციას. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და ზ. მ-ძე შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.

ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის მიზნით ჩატარებული სამედიცინო შემოწმების #019485 ოქმის მიხედვით, ზ. მ-ძეს დაუდგინდა მსუბუქი ალკოჰოლური თრობა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. ჯ-შვილმა. აპელანტები თავიანთი საჩივრებით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის შერაცხული ქმედება. აპელანტები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებდნენ შემდეგი მოტივებით: ზ. მ-ძე შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, ხოლო ჩხრეკის შედეგად მას არავითარი იარაღი არ აღმოსჩენია; შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმეების ჩვენებებით არ დგინდება მის მიერ ყაჩაღობის ჩადენა; რაც შეეხება დაზარალებულ ვ. რ-ძის ჩვენებებს, ისინი არ არის თანმიმდევრული და სარწმუნო, რის გამოც არ შეიძლება დასდებოდა გამამტყუნებელ განაჩენს.

სააპელაციო საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აღნიშნული საჩივრები, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ზ. მ-ძის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. ჯ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივრებში, ითხოვენ აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და ზ. მ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას კასატორებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივრებს. ამასთან, მსჯავრდებულმა ზ. მ-მემ განმარტა, რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია. მგზავრობის ღირებულება ტაქსის მძღოლს გადაუხადა, რომელსაც მიაწოდა ათლარიანი, ხოლო ამ უკანასკნელს მისთვის უნდა დაებრუნებინა რვა ლარი, მაგრამ არ დაუბრუნებია. როდესაც თავის საცხოვრებელ კორპუსთან მივიდნენ, მან მოსთხოვა ვ. რ-მეს ხურდის დაბრუნება, მაგრამ ის არ უბრუნებდა, რის გამოც გაბრაზდა, შეურაცხყოფა მიაყენა მძღოლს და კატეგორიულად მოსთხოვა მის მიერ მიცემული თანხის მთლიანად დაბრუნება – მან აღნიშნული თანხა უკანვე წაართვა ვ. რ-მეს, რითაც დასაჯა იგი და მას მგზავრობის ღირებულება აღარ გადაუხადა. ზ. მ-მე თვლის, რომ მას ყაჩაღობა ან სხვა დანაშაული არ ჩაუდენია. ანალოგიური პოზიცია წარმოადგინა ადვოკატმა ი. ჯ-შვილმა, რომელმაც განიხილა რა მის საკასაციო საჩივარში მითითებული მოტივები, მიიჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ზ. მ-მის მიერ დანაშაულის ჩადენა. კასატორებმა იშუამდგომლეს საკასაციო პალატის წინაშე, რომ გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, ხოლო ზ. მ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

დაზარალებულმა ვ. რ-მემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და განმარტა, რომ მსჯავრდებულმა ზ. მ-მემ მას ავტომანქანაში ჩაჯდომისთანავე მიაწოდა ათლარიანი კუპიურა მგზავრობის ღირებულების გადასახდელად. მან დაუბრუნა რვა ლარი. როდესაც მივიდნენ ზ. მ-მის მიერ მითითებულ ადგილზე, ეს უკანასკნელი გადავიდა ავტომანქანიდან, შევიდა მაღაზიაში, საიდანაც მალე გამობრუნდა, მივიდა მასთან და მოითხოვა მიცემული ათლარიანის დაბრუნება, რაზედაც უპასუხა, რომ კუთვნილი ხურდა მას უკვე დაუბრუნა. მაშინ ზ. მ-მე ჩაჯდა ავტომანქანაში, ამოიღო დანა, მიაღო მას მუცელზე, დაემუქრა და მოსთხოვა ხსენებული თანხის გადაცემა. იგი იძულებული გახდა, ზ. მ-მისათვის მიეცა 10 ლარი, რის შემდეგაც მას დანის მუქარით კიდევ ექვსი ლარი, სულ კი 16 ლარი წაართვა. ამის შემდეგ თვითონ ავტომანქანა გაიყვანა მოშორებით და გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც ზ. მ-მე დააკავა შემთხვევის ადგილზე. საბოლოოდ დაზარალებულმა ვ. რ-მემ აღნიშნა, რომ ზ. მ-მის დასჯის საკითხის გადაწყვეტას ანდობს სასამართლოს.

პროცესში მონაწილე პროკურორმა გ. შ-მემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ კასატორების მოთხოვნა უსაფუძვლოა. დაზარალებულ ვ. რ-მის, ასევე მოწმეების – საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისა და მოწმე ი. თ-მის ჩვენებებით დადასტურებულად მიაჩნია ზ. მ-მის მიერ ყაჩაღობის ჩადენა. პროკურორი თვლის, რომ განაჩენი დასაბუთებულია. საბოლოოდ პროკურორმა გ. შ-მემ იშუამდგომლა პალატის წინაშე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ზ. მ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. მ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორების მიერ წარმოდგენილ პოზიციას მსჯავრდებულ ზ. მ-მის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან იგი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზიდან. საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით არ დასტურდება დაცვის მხარის ვერსია იმის თაობაზე, რომ, მართალია, დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის მოხდა კონფლიქტი, მაგრამ ვ. რ-მის მიმართ დანაშაული არ ყოფილა ჩადენილი. ამავე დროს საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. მ-მის ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლითა და მე-19 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ჯეროვნად არ შეაფასა ის გარემოება, რომ ზ. მ-მე დააკავეს და გაჩხრიკეს შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც მას დანა არ აღმოაჩნდა, ხოლო მის მიერ დანის მეშვეობით დაზარალებულის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარის გამოყენება იმ მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, არ დასტურდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თვით მსჯავრდებულ ზ. მ-მე არ უარყოფს, რომ დაზარალებულ ვ. რ-მეს მიაყენა შეურაცხყოფა, კონფლიქტის ინიციატორი თვითონ იყო, რა დროსაც დაზარალებულს მთლიანად წაართვა მის მიერ მიცემული თანხა. აღნიშნული არაპირდაპირ დასტურებს დაზარალებულის ჩვენებას იმ ნაწილში, რომლის მიხედვით, ზ. მ-მე მას ემუქრებოდა, რის გამოც იძულებული გახდა, მისთვის გადაეცა მის ხელთ არსებული თანხა იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც მგზავრობისათვის ზ. მ-მემ გადაუხადა. ამრიგად, შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ დაზარალებულ ვ. რ-მეს თანხა ზ. მ-მისათვის ნებაყოფლობით არ გადაუცია, თუმცა არ არსებობს

საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მუქარა, რომელსაც მიმართა ზ. მ-მემ, ატარებდა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ხასიათს. ვინაიდან, თვით მსჯავრდებულ ზ. მ-მის განმარტებით, მის მიერ უკან წართმეულ თანხაში შედიოდა ის ნაწილიც, რომელიც მან გადაიხადა როგორც მგზავრობის ღირებულება და, მასადაამე, უკვე დაზარალებულ ვ. რ-მის საკუთრებას წარმოადგენდა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-მის მიერ ჩადენილია არა ყაჩაღობა, არამედ - ძარცვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, კერძოდ, სხვისი მოძრავი ნივთის (ფულადი თანხის) აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის (წარსულში ნასამართლობის გამო ქონებრივი დანაშაულისათვის) და ისეთი ძალადობის მუქარით, რომელიც არ იყო საშიში სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. აღნიშნულის გამო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტებზე. მსჯავრდებულ ზ. მ-მეს, მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ ზომას მსჯავრდებულზე გამასწორებელი ზემოქმედებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ზ. მ-მის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ზ. მ-მისა და მისი დამცველის, ადვოკატ ი. ჯ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ზ. მ-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "დ" ქვეპუნქტებზე, ხოლო მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ძარცვა**

**განჩინება**

#980-აპ-08

20 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ლის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 მარტის განაჩენით გ. მ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა თაღლითობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ლი 2004 წლის 23 სექტემბერს გაასამართლა ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, ამავე ვადით. მსჯავრდებულს სასჯელის ვადაში მოხდითად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 11 თვე და 18 დღე.

2007 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 01 საათზე, გ. მ-ლი მეგობარ რ. ა-შვილთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, რა დროსაც განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა ჯანდაცვის სამინისტროს ეზოში, სადაც იმყოფებოდა მისი ნაცნობი ა. ჟ-ია. გ. მ-ლმა ისარგებლა ნაცნობობით და სთხოვა მისი კუთვნილი, „მოტოროლას“ ფირმის მობილური ტელეფონით სარგებლობა, რაზეც იგი დასთანხმდა. გ. მ-ლი მობილურ ტელეფონზე საუბრით, წელი ნაბიჯით უახლოვდებოდა ეზოს გასასვლელს, რა დროსაც ა. ჟ-იას ეჭვი შეეპარა მის ქცევაში და თავის ნაცნობ გ. გ-ოს სთხოვა, მისულიყო გ. მ-ლთან და გამოერთმია ტელეფონი. გ. მ-ლი წელი ნაბიჯით მიუახლოვდა ეზოს გასასვლელს და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. აღნიშნულის შემდეგ ა. ჟ-ია შეეცადა გ. მ-ლის მოძებნას საკუთარი ძალებით. იგი ჩაჯდა ტაქსიში და მძღოლს სთხოვა, გაელო მიმდებარე ქუჩებზე. მან ტაქსიდან შენიშნა ქუჩაში მიმავალი გ. მ-ლი, გადავიდა ავტომანქანიდან და დაუძახა, რომ დაებრუნებინა ტელეფონი, მაგრამ გ. მ-ლი ა. ჟ-იას დანახვაზე გაიქცა და კვლავ მიიმალა. აღნიშნულის შემდეგ ა. ჟ-იამ მომხდარის შესახებ აცნობა საპატრულო პოლიციას და მისივე მითითებით დააკავეს გ. მ-ლი. აღნიშნული ქმედებით გ. მ-ლმა დაზარალებულ ა. ჟ-იას მიაყენა 110 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ლს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წლითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლითა და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 12 ივლისიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. მ-ლმა და ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, მსჯავრდებულს მოეხსნა დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა.

საკასაციო საჩივრებში მსჯავრდებული გ. მ-ლი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულა დაზარალებული ა. ჟ-ია, რომლის ჩვენებებიც ეწინააღმდეგება მოწმე რ. ა-შვილის ჩვენებებს; სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ რ. ა-შვილის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, რითიც დაირღვა საქართველოს სსკ-ის 481-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა; სასამართლოზე არ დაიკითხა მოწმე გ. გ-ო, არც მისი წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები უცვნიათ დაუშვებელ მტკიცებულებად; არ არსებობს მონაცემები იმ პედაგოგის შესახებ, რომელიც ესწრებოდა მის დაკითხვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული გ. მ-ლი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია, ისინი შეესაბამება ერთმანეთს. ცალკეულ პირთა ჩვენებები გამოქვეყნდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, მხოლოდ მათი სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ. დაზარალებულ ა. ჟ-იას, მოწმეების - რ. ა-შვილის, გ. გ-ოს, ა. მ-იანის, ს. ც-მის და მ. მ-შვილის ჩვენებებით უდავოდ დადგენილია, რომ გ. მ-ლი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ა. ჟ-იას მობილურ ტელეფონს. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, თუმცა არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ:

უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გ. მ-ლმა მიიღო რა ტელეფონი, აპირებდა ეზოდან გასვლას და მიმალვას, რის გამოც დაზარალებულმა სთხოვა გ. გ-ოს, მისულიყო და ტელეფონი გამოერთმია. ამ დროს გ. მ-ლმა გამორთო ტელეფონი და გაიქცა. მას დაედევნენ ა. ჟ-ია და გ. გ-კო.

ამდენად, მოთხოვნის მიუხედავად გ. მ-ლმა დაზარალებულს არ დაუბრუნა ტელეფონი და მიიმალა. მართალია, მსჯავრდებული მოტყუებით დაეუფლა ტელეფონს, მაგრამ ამ შემთხვევაში მოტყუება ემსახურებოდა არა საბოლოო მიზნის მიღწევას, არამედ დანაშაულის ჩადენის გაადვილე-

ბას, რაც უნდა გაიმიჯნოს. ცხადია ისიც, რომ გ. მ-ლს არც ჰქონდა სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების განზრახვა, რადგან ამას ვერ შეძლებდა და სწორედ ამის გამო, მიიღო რა ტელეფონი, გაიქცა და მიიმალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. მ-ლის ქმედება შეიცავს ძარცვის შემადგენლობის ნიშნებს და უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, რის გამოც უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. მ-ლის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გ. მ-ლის ქმედება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე და მიესაჯოს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 12 დღე და გ. მ-ლს საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით, 6 თვით და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 12 ივლისიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ძარცვა**

#### **განჩინება**

#911-აპ-08

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ზ. მ-შვილი, გამართლდა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის IV ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და ზ. მ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 12 წელი, 6 თვე, 10 დღე და ზ. მ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.



იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 26 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 15 მაისიდან 2005 წლის 19 მაისის ჩათვლით - სულ 5 დღე.

განაჩენით ზ. მ-შვილს მსჯავრი დაედო მარცვაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებლაში მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 26 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 21.30 საათზე, ზ. მ-შვილი იმყოფებოდა ქ. თბილისში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, რა დროსაც გადაწყვიტა, აშკარად, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინა სხვისი მოძრავი ნივთი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისარგებლა რა იმით, რომ თავისი მეზობელი, ნ. დ-ძე გადასული იყო ავტომანქანიდან ჭიშკრის გასაღებად, მანქანიდან გაიტაცა მისი კუთვნილი ხელჩანთა, რომელშიც ეწყო „პოლაროიდის“ ფირმის ფოტოაპარატი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მართვის მოწმობა, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და თანხა 72 ლარის ოდენობით, ასევე - მობილური ტელეფონი „სამსუნგი ა-800“ და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. აღნიშნული ქმედებით ზ. მ-შვილმა ქ. დ-ძეს მიაყენა 1072 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ადვოკატმა ნ. გ-შვილმა. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის უკანონო განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა სასჯელის მოხდის ვადის ათვლის ნაწილში, კერძოდ:

ზ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 6 ივლისიდან.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ადვოკატმა ნ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და ზ. მ-შვილის გამართლება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ზ. მ-შვილის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ერთადერთ მტკიცებულებას - დაზარალებულის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს.

დაზარალებულმა ქ. დ-ძემ წ/გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში მიუთითა, რომ 2005 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 22 საათზე, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად (გოგონა - 8 წლის, ბიჭი - 4 წლის), საკუთარი ა/მანქანით მივიდა სახლში და გადმოვიდა ა/მანქანიდან ჭიშკრის გასაღებად. იყო ბურუსი და კოკისპირულად წვიმდა. ამ დროს მისი მანქანიდან ზ. მ-შვილმა გაიტაცა ხელჩანთა, რომელშიც ეწყო „პოლაროიდის“ ფირმის ფოტოაპარატი, დოკუმენტები, ფული და მობილური ტელეფონი. დაზარალებული ამ ჩვენებაში მიუთითებდა, რომ მან თავად იცნო ზ. მ-შვილი. როდესაც ბავშვების ყვირილზე იგი გამოვარდა, ზ. მ-შვილი გაიქცა, ხელში ეჭირა მისი ტყავის ჩანთა და მიიძალა ქუჩის ქვემოთ. მისმა შვილმა - 8 წლის ა. დ-მა დაუდასტურა, რომ ჩანთა გაიტაცა მათმა მეზობელმა ზ. მ-შვილმა. ზ. მ-შვილის სახლიდან გამოსულმა მისმა დამ - ფ. მ-შვილმა ტყუილი თქვა, რომ მმარცველი გაიქცა ზემოთ. სინამდვილეში დაზარალებულმა გარკვევით დაინახა, რომ იგი ქუჩის ქვემოთ გაიქცა.

მეორე დილით დაზარალებულის მეუღლემ იპოვა მათ ეზოში გადაყრილი ქ. დ-ძის საბუთები.

მოგვიანებით დაზარალებულმა ჩვენება შეცვალა და აღნიშნა, რომ მმარცველი - ზ. მ-შვილი, რომელსაც ხელში მისი ჩანთა ეჭირა და იცნო აღნაგობით, გაიქცა და შევარდა მ-შვილების ეზოში, რის შემდეგაც გაიგონა მათი ჭიშკრის ხმა. დაპირისპირების დროს მიცემულ ჩვენებაში კი აღნიშნა, რომ ვერ გაარჩია, თუ რა ეჭირა ხელში გაქცევის დროს ზ. მ-შვილს. ვითარებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, იგი უნდა ყოფილიყო მისი ჩანთა და მობილური.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა განსხვავებული ჩვენება მისცა და აღნიშნა, რომ მას თავად არ უცვნია მსჯავრდებული, ზ. მ-შვილი იცნეს მისმა მცირეწლოვანმა შვილებმა. მას უშუ-

ალოდ ჩანთის აღების მომენტში ზ. მ-შვილის სახე არ დაუნახავს, დაინახა მხოლოდ ის, რომ პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგოდ გაიტაცა ა/მანქანიდან მისი კუთვნილი ჩანთა და ნივთები, შევარდა ზ. მ-შვილის ეზოში. მისივე ჩვენებით, იყო ცუდი ამინდი, ცუდი ხილვადობა, ბნელოდა და შვილებმა მანქანის კარის გაღებისას ანთებული შუქის ფონზე იცნეს ზ. მ-შვილი, რომელსაც მხოლოდ თვალები უჩანდა, სახე კი დაფარული ჰქონდა აწეული პულოვერით.

თავად ზ. მ-შვილის მიერ წ/გამოძიებაში მიცემული ჩვენებით კი იგი 2005 წლის 26 აპრილს თავის მეგობარ ა. მ-შვილს წაჰყვა თბილისში. შეხვდნენ ა-ს მეგობარ გოგონას - ა-ს და სამივენი წავიდნენ ზ-ს მამიდაშვილ ბ. მ-შვილთან, საიდანაც წავიდნენ - სახინკლესში. დაახლოებით 20 საათზე გამოვიდნენ სახინკლედან. ზ. მ-შვილი წაჰყვა თავის მამიდაშვილს სახლში, ტელეკომპანია „იმედის“ არხზე უყურეს სერიალ „ცხელ ძაღლს“ და იმის გამო, რომ უკვე გვიანი იყო და სამარშრუტო ტაქსები აღარ მოძრაობდნენ, დარჩა მამიდაშვილთან.

ზ. მ-შვილი წ/გამოძიებაში არ აღიარებდა ამ დანაშაულის ჩადენას, ხოლო შემდეგ მან მისცა აღიარებითი ჩვენება.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, "ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას".

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ზ. მ-შვილის მიერ ჩადენილი ძარცვის ფაქტს. ერთადერთი მტკიცება იყო დაზარალებულის ჩვენება, რომელიც სასამართლო განხილვის დროს შეიცვალა და დაზარალებულმა არსებითად განსხვავებული, ვარაუდებზე დაყრდნობილი ჩვენება მისცა, კერძოდ, მან განმარტა, რომ ზ. მ-შვილი, რომელსაც მხოლოდ თვალები უჩანდა, იცნეს მისმა მცირეწლოვანმა შვილებმა და დაადასტურა, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა ძარცვა, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და გაიტაცა მისი ნივთები, იყო ზ. მ-შვილი.

პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. დაზარალებულ ქ. დ-მის მიერ წ/გამოძიებაში და სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებები ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებებითაა გამყარებული და შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "სასამართლო განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად".

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, პირადი ჩხრეკის, დაპირისპირების ოქმების და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ."

საქმეში არ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

ამდენად, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

ზ. მ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზ. მ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივლისის განაჩენით შეფარდებული სასჯელი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 504-ე მუხლის III ნაწილის "ა", 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ზ. მ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ზ. მ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**3. ყაჩაღობა**

**ყაჩაღობა**

**განჩინება**

#1565-აპ

9 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ძის, მსჯავრდებულ რ. ო-ნისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ხ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით:

ზ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 2 დეკემბრიდან.

რ. ო-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - 7 წლით, 239-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლით, 236-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასჯელთა შეკრების წესით, რ. ო-ნს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

იმავე განაჩენით ლ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და იმავე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის განაჩენით ლ. ხ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 წელი და ლ. ხ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენით ზ. მ-ძესა და რ. ო-ნს მსჯავრი დაედოთ ყაჩაღობაში, ე.ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად.

რ. ო-ნს მსჯავრი დაედო ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ხულიგნობისათვის, ე.ი. ქმედებისათვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობის მუქარით.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 1 დეკემბერს, დაახლოებით 01 საათზე, ზ. მ-ძემ, რ. ო-ნმა, ლ. ხ-ძემ, იმყოფებოდნენ რა ქალაქ ბათუმში მდებარე კაფე-ბარში, გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, ჯგუფურად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, დანის მუქარით, დაზარალებულ გ. დ-ძეს მართლსაწინააღმდეგოდ წართვეს ფულადი თანხა - 70 ლარი და შავი ფერის ტყავის ქურთუკი, ღირებული - 70 აშშ დოლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღნიშნული ქმედებით მათ დაზარალებულს მიაყენეს 180 ლარის მატერიალური ზიანი.

2006 წლის 25 აპრილს, დაახლოებით 24 საათზე, რ. ო-ნი ნასვამი მივიდა ქ. ბათუმში, თ. ჩ-ძის კუთვნილ კაფე-ბარ "...-თან", სადაც მას ყოვლად უმიზეზოდ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხმამაღლა აგინა, დაემუქრა მოკვლით, დაამტვრია კაფე-ბარში მდგარი მაგიდა და სკამი, რითაც თ. ჩ-ძის მიმართ გამოხატა აშკარა უპატივცემულობა.

რ. ო-ნის აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედება გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს, რის შემდეგაც თ. ჩ-ძემ გამოიძახა პოლიცია, ხოლო რ. ო-ნი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

რ. ო-ნმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა "მაკაროვის" სისტემის #38352, 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტი, რომელიც სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას, ვარგისია სროლისათვის და რომელსაც, ასევე, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში. აღნიშნული იარაღი 2006 წლის 3 დეკემბერს მის საცხოვრებელ სახლში გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ლ. ხ-ძემ, ასევე მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ბ-ძემ.

აპელანტმა - მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ბ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს დანაშაულებრივი ქმედების ძარცვით დაკვალიფიცირება, ხოლო აპელანტმა ლ. ხ-ძემ ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენი და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ლ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 13 თებერვლის განაჩენით ლ. ხ-ძის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 11 თვე, 27 დღე და ლ. ხ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით, 11 თვითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ, მსჯავრდებულმა რ. ო-ნმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ხ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულმა ზ. მ-ძემ საჩივრით ითხოვა სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

მსჯავრდებულმა რ. ო-ნმა და მისმა ადვოკატმა ითხოვეს განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა, ალტერნატივის სახით კი - განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად, შემდეგ გარემოებათა გამო: არ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედება გამამტყუნებელ განაჩენს; განაჩენი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულების - ზ. მ-ძის, რ. ო-ნისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ხ. გ-შვილის საკასაციო საჩივრების მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების, საქმის წარმოებით შეწყვეტისა ან სასამართლოში ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულების ჩვენებით, მოწმე ნ. კ-ძის ჩვენებით, დაზარალებულების - გ. დ-ძის, თ. ჩ-ძის ჩვენებით, პიროვნების ამოცნობისა და ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით ზ. მ-ძისა და რ. ო-ნის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მათ სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ო-ნი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ რ. ო-ნს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი ლ. ხ-ძის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე-568-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ო-ნი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ რ. ო-ნს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ყაჩაღობა

## განჩინება

#1538-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - რ. ნ-შვილისა და ზ. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 აგვისტოს განაჩენით:

რ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 42-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და სსკ-ის 42-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 2000 ლარი, 238<sup>1</sup> მუხლის I-ლი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, რ. ნ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 დეკემბრიდან.

ზ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" "გ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 დეკემბრიდან.

განაჩენით რ. ნ-შვილისა და ზ. ნ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 15 ივლისს რ. ნ-შვილი კასპის რაიონულმა სასამართლომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანას" უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ადმინისტრაციული წესით დააპატიმრა 10 დღის ვადით.

რ. ნ-შვილმა 2007 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ შეიძინა და მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით იგი 2007 წლის 13 ნოემბერს დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანას" ზემოქმედების ქვეშ.

მიუხედავად ამისა, 2007 წლის 2 დეკემბერს რ. ნ-შვილმა დაუდგენელ ვითარებაში კვლავ უკანონოდ შეიძინა და მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება "ტეტრაჰიდროკანაბინოლი" (მარიხუანა).

რ. ნ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა, F-1 ტიპის ხელყუმბარა, რომელსაც ასევე უკანონოდ ატარებდა. რ. ნ-შვილი ნარკოტიკული საშუალება "ტეტრაჰიდროკანაბინოლის" ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. იგი 2007 წლის 2 დეკემბერს, საღამოს, ქ. კასპში შეხვდა თავის მეგობარ ზ. ნ-შვილს და ერთად წავიდნენ ი. ბ-ძის სამიძმარზე, სადაც მიიღეს ალკოჰოლური სასმელი. მათ განიზრახეს ძალადობით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით გაეტაცებინათ სატრანსპორტო საშუალება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რ. ნ-შვილმა აიღო და ქურთუკის ჯიბეში შეინახა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი საბრძოლო მასალა - F-1 ტიპის ხელყუმბარა და ცივი იარაღი - დანა. ზ. ნ-შვილიც დანით შეიარაღდა. დაახლოებით 17.30 საათზე ორივენი მივიდნენ ქ. კასპში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც შეარჩიეს მათთვის სასურველი, ზ. ყ-შვილის კუთვნილი, ე.წ. "ტაქსი" - ავტომანქანა ვაზ-2106. რ. ნ-შვილი დაჯდა მძღოლის გვერდით სავარძელზე, ხოლო ზ. ნ-შვილი მოთავსდა უკანა სავარძელზე. მათ მძღოლს უთხრეს, რომ ისინი სადგურ მეტეხის დასახლებისაკენ წაეყვანა, რაშიც ნდობის მოპოვების მიზნით წინასწარ გადაუხადეს 5 ლარი. როდესაც ე.წ. "კონახურას" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სააგარაკე ბინებს

მიუახლოვდნენ, რ. ნ-შვილმა და ზ. ნ-შვილმა თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. მათ მოიმარჯვეს თანაქონი ხელყუმბარა, დანები და ყაჩაღურად თავს დაესხნენ ზ. ყ-შვილს. იარაღის გამოყენების მუქარით აიძულეს იგი, ავტომანქანა გაეჩერებინა და გადასულიყო. ზ. ყ-შვილი განხორციელებული თავდასხმის შიშით დაემორჩილა მათ და ავტომანქანიდან გადავიდა, მაგრამ შეუძმნევლად გათიშა ძრავა (ჩართო ე.წ. "სეკრეტი"). ავტომანქანის საჭესთან დაჯდა ზ. ნ-შვილი, რომელმაც მანქანის ამუშავება ვერ შეძლო. იმ დროს, როდესაც ზ. ნ-შვილი და რ. ნ-შვილი ავტომანქანის გატაცებას და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდნენ, ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა, ხოლო შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დანაშაულის ჩადენის იარაღები - ხელყუმბარა და დანები.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება:

რ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; 236-ე მუხლის I-ლი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; 238<sup>1</sup> მუხლის I-ლი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი; 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები მთლიანად შეიკრიბა და რ. ნ-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლისა და 6 თვის ვადით და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 დეკემბრიდან.

ზ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 დეკემბრიდან.

მსჯავრდებული რ. ნ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არის ახლად დაოჯახებული, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და მეორე ჯგუფის ინვალიდი.

მსჯავრდებული ზ. ნ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს გამართლებას ან სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, თავს დამნაშავედ არ ცნობს, ჰყავს ასაკოვანი მშობლები და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ზ. ნ-შვილის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულ ზ. ყ-შვილისა და მოწმეების - თ. გ-ძის, ნ. ბ-რის, გ. ი-შვილის ჩვენებებით; 2007 წლის 2 დეკემბრის ამოღების, შემთხვევის დათვალიერებისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით; 2007 წლის 3 დეკემბრის ბალისტიკური ექსპერტიზის #93/ზ დასკვნით; 2007 წლის 6 დეკემბრის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის #15/ც დასკვნით; კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ივლისის დადგენილებით; ნარკოლოგიური გამოკვლევის 2007 წლის 13 ნოემბრისა და 3 დეკემბრის დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულების - რ. ნ-შვილისა და ზ. ნ-შვილის მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება კასატორების მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მათი პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულებს - რ. ნ-შვილსა და ზ. ნ-შვილს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნა-ხევრდეს.

რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" "გ" ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I-ლი და მე-2 ნაწილებით, 238<sup>1</sup> მუხლის I-ლი ნაწილით, 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 11 წლისა და 6 თვის ვადით და ჯა-რიმა 1000 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნა-ხევრდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნა-ხევრდეს.

მსჯავრდებულ რ. ნ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და "გ" ქვე-პუნქტებით, 236-ე მუხლის I-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 238<sup>1</sup> მუხლის I-ლი ნაწილით 273-ე მუხლით (2007 წლის 13 ნოემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის 3 დეკემბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 11 წლითა და 6 თვით თავისუფ-ლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყაჩაღობა**

**განჩინება**

#1570-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენ-ლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ს-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ძის, მსჯავრდებულ ვ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ძისა და მსჯავ-რდებულ ლ. ს-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ც. ფ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენ-ზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით:



ვ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ი. ქ-შვილის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ვ. თ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 25 ოქტომბრიდან.

ლ. ს-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ი. ქ-შვილის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ლ. ს-უას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 25 ოქტომბრიდან.

ა. ს-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ი. ქ-შვილის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ა. ს-უას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 27 ოქტომბრიდან.

ვ. თ-შვილს, ა. ს-უასა და ლ. ს-უას სოლიდარულად დაეკისრათ გ. ს-უას სასარგებლოდ - 26 ლარის, ი. ქ-შვილის სასარგებლოდ - 80 ლარისა და ე. ა-ძის სასარგებლოდ - 1,75 ლარის ანაზღაურება.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ: საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 5,4 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ გასანადგურებლად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს; ნიღბის ფორმის შავი ფერის ორი ქუდი და დანა უნდა განადგურდეს; ა. ს-უას ტანსაცმელი და სანთებელა, მისი თანხმობით, უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს; ლ. ს-უას ტანსაცმელი და შავი ტყავის საფულე შიგ არსებული 28 ლარით, უნდა დაუბრუნდეს ლ. ს-უას.

განაჩენით მსჯავრდებულების - ვ. თ-შვილის, ა. ს-უასა და ლ. ს-უას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 24 ოქტომბერს ვ. თ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ყოფილ თანაკლასელებს, მეზობლებს - ა. ს-უასა და ლ. ს-უას, რომლებმაც იცოდნენ სოფელ ... მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიებისა და დახმარების გაცემის შესახებ და განიზრახეს მათზე ყაჩაღური თავდასხმა ქონებრივი სარგებლობის მიღების მიზნით.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, წინასწარი შეთანხმებისამებრ, შექმნეს პირთა ჯგუფი. ვ. თ-შვილი შეიარაღდა მამის კუთვნილი ქარქაშიანი დანით - „ბებუთით“, ხოლო ა. ს-უა - ცეცხლსასროლი იარაღის იმიტაციის მიზნით სანადირო თოფის ლულის მსგავსი ლითონის მილით და დაახლოებით 23 საათზე ვ. თ-შვილი, ა. ს-უა, ლ. ს-უა, ზემოაღნიშნული საგნებით შეიარაღებულები და ნიღბაფარებულები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ი. ქ-შვილს, შეიჭრნენ ამ უკანასკნელის საძინებელ ოთახში, ლოგინზე მწოლიარეს თავზე გადააფარეს საბანი, მთელი ძალით დააწვინენ მუცლისა და კისრის არეში და მოსთხოვეს ფულის შესანახი ადგილის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით. ამ გზით ი. ქ-შვილი აიძულეს, დაესახელებინა ფულის შესანახი ადგილი. ა. ს-უამ იქვე დადებული შარვლის ჯიბიდან ამოიღო ოთხმოცი ლარი, რის შემდეგ ერთ-ერთმა ი. ქ-შვილს თავში მუშტი ჩაართყა და შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ.

იმავე დამეს ვ. თ-შვილი, ლ. ს-უა და ა. ს-უა ყაჩაღური თავდასხმის კვლავ ჩასადენად შევიდნენ იქვე, მეზობლად მცხოვრებ გ. ს-უას საცხოვრებელ ეზოში და მოტყუებით გააღებინეს კარი. ლ. ს-უამ ამ უკანასკნელს პირზე ხელი ააფარა, იძულებით შეიყვანა ოთახში, დააწვინა იატაკზე და მოსთხოვეს, დაესახელებინა პენსიის ფულის, ოქროსა და ვერცხლის ნივთების შესანახი ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით. მუქარის დამაჯერებლობისთვის ა. ს-უამ მოხუცს მარცხენა ხელის მტევანი დანით გაუჭრა და ამ გზით აიძულა, დაესახელებინა ფულის შესანახი ადგილი. ვ. თ-შვილმა ლოგინთან მდგარი სკამიდან აიღო ოცი ლარი, ხოლო იქვე

დადებული ქისიდან - ექვსი ლარი. ამის შემდეგ ოთახებში დაიწყო ძვირფასეულობის ძებნა, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ვერაფერს იპოვიდნენ, გააფრთხილეს დაზარალებული, რომ პოლიციაში არ განეცხადებინა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავდნენ. ამის შემდეგ თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ბოროტმოქმედებმა განაგრძეს დანაშაულებრივი საქმიანობა. გ. ს-უაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ვ. თ-შვილი, ლ. ს-უა და ა. ს-უა მივიდნენ ე. ა-ძის სახლთან, სადაც უკანა კარის საშუალებით შეაღწიეს სახლში. ხმაურზე გაღვიძებულმა ე. ა-ძემ მათ დანახვაზე კვილი დაიწყო. ა. ს-უამ მას ხელი ააფარა პირზე და დაემუქრა მოკვლით, ხელი ჰკრა, წააქცია იატაკზე და მოსთხოვა პენსიის თანხის გადაცემა. როცა ე. ა-ძისაგან შეიტყო, რომ პენსია ჯერ არ ჰქონდა აღებული, ვ. თ-შვილი რკინის მილის გამოყენებით დაემუქრა მოკვლით. შიშით შეპყრობილმა ე. ა-ძემ იქვე მდგარი კარადიდან ჩამოიღო მინის ქილა და მასში არსებული 1,75 ლარის მონეტებთან ერთად გადასცა ა. ს-უას. ამ უკანასკნელმა თანხა ჩაიდო ჯიბეში, ხოლო მინის ქილა კვლავ კარადის თავზე დადო, ხოლო სხვა თანხის აღმოჩენის მიზნით, თანამზრახველებთან ერთად ოთახებში დაიწყო ძებნა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ვერაფერს იპოვიდნენ, დაუფლნენ ე. ა-ძის კუთვნილ, 3 ლარად ღირებულ ხელის ფარანს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2007 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ა. ს-უამ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში შეიძინა 5,4 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მარხუანა", რომლის ნაწილი მოიხმარა, ხოლო დანარჩენი მოათავსა ვერცხლისფერ ქაღალდში და პირადი მოხმარების მიზნით შეინახა თავის საცხოვრებელ სახლში, ლეიბის ქვეშ, საიდანაც ამოღებულ იქნა 2007 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - ვ. თ-შვილს, ლ. ს-უასა და ა. ს-უას მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ი. ქ-შვილის ყაჩაღობის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდნენ.

ვ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ვ. თ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. ს-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ლ. ს-უას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ს-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გ. ს-უას ყაჩაღობის ეპიზოდი) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ე. ა-ძის ყაჩაღობის ეპიზოდი) - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ა. ს-უას საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. ს-უას ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული, გამამტყუნებელი განაჩენი უკანონოა, ვინაიდან მასში ჩამოყალიბებული დასკვნები არ ეყრდნობა სასამართლოში გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; სასამართლომ დაზარალებულების - გ. ს-უასა და ე. ა-ძის ჩვენებებს არ მისცა სათანადო შეფასება და გამოიყენა ბრალის დასადასტურებლად; დაზარალებულები - ე. ა-ძე და გ. ს-უა არ უთითებენ ა. ს-უაზე, როგორც მათ დაყაჩაღებაში მონაწილე პირზე; სასამართლომ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა ერთ შემთხვევაში საფუძვლად დაუდო გამამართლებელ განაჩენს, ხოლო მეორე შემთხვევაში - გამამტყუნებელს; სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ა. ს-უა არის ე. ა-ძის ახლობელი და იგი ხშირად სტუმრობდა მას სახლში, შესაბამისად, სრულიად შესაძლებელი და დასაშვებია ა. ს-უას თითის კვალის არსებობა ე. ა-ძის ოჯახში; რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებას, სასამართლომ სარწმუნოდ მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები მიიჩნია, რომლებიც მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების ამოღების ფაქტს ადასტურებენ და სასამართლო პროცესზე იძლევიან ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს.

მსჯავრდებულ ვ. თ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენის, ასევე 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინების გაუქმებას და მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე; სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებობს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცება, კერძოდ: სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, ვ. თ-შვილი სრულიად ჯანმრთელია და #2 საპრობილის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ვ. თ-შვილი დაავადებულია ეპილეფსიით; სააპელაციო სასამართლომ არ შეისწავლა ვ. თ-შვილის პიროვნული მახასიათებელი თვისებები; არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ვ. თ-შვილს ახასიათებს ჭკუასუსტობა და ადეკვატურად ვერ აღიქვამს მოვლენებს, რაზეც ნათლად მიუთითებს მის მიერ დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება; სასამართლოს შეეძლო, გაეთვალისწინებინა ვ. თ-შვილის მიერ დანაშაულის აღარება და მისი თანამშრომლობა გამოძიებასთან; სასამართლოს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც შეეხება იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცებას, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძველს, ხოლო აღნიშნული ბრძანების მე-5 მუხლი მიუთითებს იმ ფსიქიკურ აშლილობებზე, რომელთა შემადგენლობაში შედის ორგანული ჭკუასუსტობა, გამოწვეული ეპილეფსიური დაავადებით.

მსჯავრდებულ ლ. ს-უას ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას, გარდა ი. ქ-შვილის ეპიზოდისა. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული, გამამტყუნებელი განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან ეყრდნობა კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; დარღვეულია ვ. თ-შვილის დაცვის უფლება; საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ისე, რომ არ ყოფილა გამოტანილი სათანადო დადგენილება ნიშნების აღების შესახებ; საგამოძიებო მოქმედებებში ექსპერტ-კრიმინალისტ გ. ჟ-ევის მონაწილეობისას არ იქნა მოწვეული თარჯიმანი; დაზარალებული ე. ა-ძე დაკითხულია თარჯიმნის გარეშე; არ არის დადგენილი დანაშაულის ჩადენის დრო; ასევე არ არის დადგენილი იმ მეზობლის ვინაობა, რომელიც ესწრებოდა დაზარალებულ ე. ა-ძის დაკითხვას; სასამართლომ არ გაიზიარა ლ. ს-უას უტყუარი ალიბი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების - ვ. თ-შვილის, ლ. ს-უასა და ა. ს-უას განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჩაუდენიათ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულები (გ. ს-უასა და ე. ა-ძის ეპიზოდები), რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების - გ. ს-უასა და ე. ა-ძის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მამხილებელი მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ეპიზოდების ჩადენა.

დაზარალებული გ. ს-უა ჩვენებაში აღნიშნავს, რომ 2007 წლის 24 ოქტომბერს, ღამით, ყაჩაღურად თავს დაესხა სამი ახალგაზრდა ბიჭი, ერთ-ერთ თავდამსხმელში თმით, ტანით და აღნაგობით შეიცნო ვ. თ-შვილი.

დაზარალებული ე. ა-ძე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მას 2007 წლის 24 ოქტომბერს, ღამის საათებში, ყაჩაღურად თავს დაესხა სამი პირი და მოსთხოვეს ფული, მაგრამ ვინაიდან არ ჰქონდა პენსია აღებული, წაიღეს მინის ქილაში არსებული 1 ლარი და 70 თეთრი და ხელის ფარანი.

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ხელის თითის ოთხი კვალიდან ვარგისი ერთი თითის კვალი, ამოღებული გ. ს-უას საცხოვრებელ სახლში არსებული ტრილიაჟის ზედაპირიდან, დატოვებულია ლ. ს-უას მარცხენა ხელის შუა თითით. ხელის თითის მეორე კვალი, ამოღებული გ. ს-უას საცხოვრებელ სახლში არსებული ელექტროსაათის ზედაპირიდან, ვარგისია და დატოვებულია ვ. თ-შვილის მარცხენა ხელის ნეკა თითით. ხელის თითის მესამე კვალი, ამოღებული ე. ა-ის საცხოვრებელ სახლში არსებული მინის ქილის ზედაპირიდან, ვარგისია და დატოვებულია ა. ს-უას მარჯვენა ხელის შუა თითით.

საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულ გ. ს-უას პერანგზე აღმოჩენილი ნაცრისფერი, ქიმიური, მატერიალური ბოჭკოს მიკრონაწილაკები და ვ. თ-

შვილის შავი სპორტული შარვლის ქსოვილის შემადგენლობაში შემავალი ნაცრისფერი, ქიმიური, მატერიალური ბოჭკოები ხასიათდებიან ერთნაირი ბუნებით, ფერის ტონალობით და ბოჭკოს სტრუქტურით (გვაროვნული ნიშნები), ხოლო ე. ა-ძის შავი ფერის მაისურზე აღმოჩენილი ღია მწვანე ფერის ბამბის ბოჭკოს მიკრონაწილაკები და ა. ს-უას მწვანე-შავი ფერის მაისურის ქსოვილის შემადგენლობაში შემავალი ღია მწვანე ფერის ბამბის ბოჭკოები ხასიათდებიან ერთნაირი ბუნებით, ფერის ტონალობითა და ბოჭკოს სტრუქტურით (გვაროვნული ნიშნები).

საქმეზე ჩატარებული კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვ. თ-შვილი ფსიქიკურად ჯანმრთელია და მის მიერ ჩადენილ ქმედებებში ის უნდა ჩაითვალოს შერაცხადად.

ა. ს-უას ბინის ჩხრევის ოქმით დადგენილია, რომ მის საძინებელ ოთახში, საწოლზე არსებული ლეიბის ქვემოდან, ამოიღეს სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული, მომწვანო-მორუხო ფერის მცენარე, წონით 5.4 გრამი, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას "მარიხუანას".

საკასაციო პალატა ასევე სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაციას ალიბის ვერსიის მოწმეების ჩვენებების შეფასების ნაწილში, რაც სადავოდ არც სააპელაციო სასამართლოს განაჩენს გაუხდია. ამდენად, პალატა აღნიშნულ ჩვენებებს ვერ განიხილავს ისეთ უტყუარ მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავს მსჯავრდებულთა მონაწილეობას შერაცხულ დანაშაულებრივ ეპიზოდებში.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების - ვ. თ-შვილის, ა. ს-უასა და ლ. ს-უას ქმედებები (გ. ს-უასა და ე. ა-ძის ეპიზოდები) არ წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობას.

საქმის მასალების მიხედვით, როგორც საბრალდებო დასკვნით, ასევე პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ დადგენილად არის მიიჩნეული, რომ 2007 წლის 24 ოქტომბერს ვ. თ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ყოფილ თანაკლასელებს, მეზობლებს - ა. ს-უასა და ლ. ს-უას, რომლებმაც იცოდნენ სოფელ ... მცხოვრებ პენსიონერებზე პენსიებისა და დახმარების გაცემის შესახებ და განიზრახეს მათზე ყაჩაღური თავდასხმა ქონებრივი სარგებლობის მიღების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, წინასწარი შეთანხმებისამებრ, შექმნეს პირთა ჯგუფი. ვ. თ-შვილი შეიარაღდა მამის კუთვნილი ქარქაშიანი დანით - „ბებუთით“, ხოლო ა. ს-უა - ცეცხლსასროლი იარაღის იმიტაციის მიზნით სანადირო თოფის ლულის მსგავსი ლითონის მილით და ყაჩაღურად თავს დაესხნენ გ. ს-უას. ბოროტმოქმედებმა განაგრძეს რა დანაშაულებრივი საქმიანობა, გ. ს-უაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ, ისინი ყაჩაღურად თავს დაესხნენ ე. ა-ძეს.

სააპელაციო სასამართლო განაჩენში ასევე აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ის, რომ ორივე თავდასხმა მოხდა ერთ ღამეს, ერთმანეთის მახლობლად, 24-დან 02 საათამდე დროის შუალედში, ორივე თავდასხმაში ფიგურირებს სამი ახალგაზრდა, ერთი - დანით, მეორე - თოფის მაგვარი საგნით შეიარაღებულები, მიუთითებენ, რომ როგორც ე. ა-ძის, ისე გ. ს-უას ოჯახებზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმები ჩადენილია ერთი და იმავე პირთა ჯგუფის - ვ. თ-შვილის, ლ. ს-უასა და ა. ს-უას მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულები - ვ. თ-შვილი, ა. ს-უა და ლ. ს-უა მოქმედებდნენ რა ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული, ერთიანი დანაშაულის ერთ-ერთი სახე - განგრძობადი დანაშაული, რის გამოც მსჯავრდებულები - ვ. თ-შვილი, ა. ს-უა და ლ. ს-უა მსჯავრდებულნი უნდა იქნენ მხოლოდ ყაჩაღობის ერთი მუხლით და, შესაბამისად, უნდა დაენიშნოთ ერთი სასჯელი.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. ს-უას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულებს - ვ. თ-შვილს, ა. ს-უასა და ლ. ს-უას განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი.

მსჯავრდებულ ვ. თ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა დარჩეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. ს-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა დარჩეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. ს-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა დარჩეს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულებს - ვ. თ-შვილს, ა. ს-უასა და ლ. ს-უას განაჩენიდან ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი.

მსჯავრდებულ ვ. თ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 25 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულ ლ. ს-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 25 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულ ა. ს-უას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მოსახდელად დარჩეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ა. ს-უას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ა. ს-უას საბოლოოდ სასჯელად განესაზღვროს 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 27 ოქტომბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყაჩაღობა**

**განჩინება**

#148-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ს-იას, გ. ფ-ვასა და ზ. ჯ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ა. ტ-ვას, ი. ნ-შვილისა და ს. ფ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით:

1. გ. ფ-ვა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე - ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება;

2. გ. ს-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე - ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება; ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ;

3. ზ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება.

გ. ფ-ვას, გ. ს-იასა და ზ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ფ-ვამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა სროლისათვის ვარგისი, 9 მმ-ის კალიბრის, „GOLD შთად-2002“ მოდელის, #98070 ატიპური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

გ. ს-იამ 2003 წელს გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან 80 ლარად მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა სროლისათვის ვარგისი, 9 მმ კალიბრიანი, „GOLD შთად-2002“ მოდელის, #78149 ატიპური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

ზ. ჯ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა სროლისათვის ვარგისი, 9 მმ კალიბრის, „P.BEEdთA-ს“ მოდელის, #20011 ცეცხლსასროლი იარაღი და ამავე კალიბრის 8 ცალი საბრძოლო ვაზნა, რომელთაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2006 წლის 12 ივნისს გ. ფ-ვა და გ. ს-ია დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით. განიზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ფ-ვა შეიარაღდა წინასწარ შეძენილი გადაჭრილი თოფით, ე.წ. „აბრეხით“, ხოლო გ. ს-ია - ასევე წინასწარ შეძენილი პისტოლეტით და იმავე დღეს, დაახლოებით 13.00 საათზე, მივიდნენ ქ. თბილისში მდებარე სავაჭრო ჯიხურში, სადაც იმყოფებოდნენ გამყიდველი ც. უ-შვილი და შპს „მაგთიკომისა“ და შპს „ჯეოსელის“ დისტრიბუტორი გ. ი-შვილი. თავდამსხმელებმა იარაღის გამოყენების მუქარით აიძულეს ისინი, შესულიყვნენ ჯიხურში ჩამოფარებული ფარდის უკან, სადაც გ. ი-შვილს სპეციალურად მომარჯვებული შესაკრავით შეუკრეს ხელები, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის მუქარით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით ყაჩაღურად გასტაცეს ფული 1080 ლარის ოდენობით, ასევე - 2355 ლარის ღირებულების „მონო“, „ლაი-ლაი“, „ბალი“ და „ასტრა“ ბრათები და „სიმენსის“ ფირმის მობილური ტელეფონი, ხოლო ც. უ-შვილს ასევე ყაჩაღურად გასტაცეს ნავაჭრი თანხა 40 ლარის ოდენობით, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათ დაზარალებულ გ. ი-შვილს სულ მიაყენეს 3585 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო ც. უ-შვილს - 40 ლარის ზიანი. ბოროტმოქმედებმა 2006 წლის 14 ივნისს თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 10 ცალი 10-ლარიანი „მონობარათი“ 45 ლარად გაასაღეს თ. გ-ძეზე, 40 ცალი 5-ლარიანი „მონობარათი“ 120 ლარად გაასაღეს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მაღაზიაში, დანარჩენი ბრათები კი - მეტროს სადგურ “-“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიაში და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში, ხოლო მიღებული თანხა გაინაწილეს.

2006 წლის ივნისის შუა რიცხვებში გ. ფ-ვა, გ. ს-ია და ზ. ჯ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით, ბინაში შეღწევით გაეტაცებინათ ლ. კ-იას ქონება. დანაშაულის ჩადენის მიზნით, ფარული თვალთვალის გზით, შეისწავლეს ლ. კ-იას გადაადგილების მარშრუტი და სახლში ყოფნის დრო, ბინაში და მის გარეთ არსებული ვითარება, წინასწარ შეიმუშავეს ყაჩაღური თავდასხმის გეგმა და გაინაწილეს როლები, რომლის მიხედვითაც, გ. ს-იასა და ზ. ჯ-ძეს უშუალოდ უნდა განეხორციელებინათ შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა, ხოლო გ. ფ-ვა უნდა დარჩენილიყო ავტომანქანაში საჭესთან, რათა საჭიროების შემთხვევაში შეეტყობინებინა ჯგუფის სხვა წევრებისათვის დანაშაულის აღსრულებისათვის შექმნილი ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ. ამასთანავე, ისინი შეიარაღდნენ წინასწარ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღებით, შეიძინეს 2 ცალი ე.წ. „სკოჩი“, ნიღბები და 2006 წლის

23 ივნისს, შეთანხმებისამებრ, დაახლოებით 7 საათზე, შეხვდნენ ერთმანეთს, ჩასხდნენ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა გ. ს-ია და დაიწყეს მოძრაობა . . . . . ქუჩის მიმართულებით, სადაც ცხოვრობდა ლ. კ-ია. მათ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს, რადგან დააკავეს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა. დაკავების ადგილზე გ. ს-იას პირადი ჩხრეკისას ამოიღეს სროლისათვის ვარგისი, „GOLD შთად-2002“ მოდელის, #78149 ატიპური ცეცხლსასროლი იარაღი, გ. ფ-ვას პირადი ჩხრეკისას - „GOLD შთად-2002“ მოდელის, #98070 ატიპური ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ზ. ჯ-ძის პირადი ჩხრეკისას - „P.BEდEთA-ს“ მოდელის, #20011 ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდითა და 8 ცალი საბრძოლო ვაზნით; ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს ორი ნიღაბი და ორი „სკოჩი“.

გ. ს-იამ 2006 წლის 12 ივნისს დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი, წონით - 0,115 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება „ბუპრენორფინის“ შემცველობაა 0,0023 გრამი, შეახვია სიგარეტის ვერცხლისფერი ფოლგის ქაღალდში და ასევე უკანონოდ შეინახა თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ბინის სამინებელ ოთახში. აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება ჩატარებული ჩხრეკის შედეგად 2006 წლის 23 ივნისს ამოიღეს პოლიციელებმა.

გ. ს-იას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2006 წლის 4 იანვრის დადგენილებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 75 ლარით. 2006 წლის ივნისში მან ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მიიღო ნარკოტიკული საშუალება და 2006 წლის 23 ივნისს საქართველოს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაიყვანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიურ შემოწმებაზე, რა დროსაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მორფინის“ მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ს-იას საბოლოოდ მიესაჯა 21 წლითა და 6 თვით, გ. ფ-ვას - 18 წლით, ხოლო ზ. ჯ-ძეს - 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყეთ 2006 წლის 23 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - ზ. ჯ-ძისა და გ. ს-იას ადვოკატებმა - ს. ფ-იამ და ა. ტ-ვამ. მათ ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ზ. ჯ-ძისა და გ. ს-იას გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ადვოკატი ა. ტ-ვა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა საქართველოს სსსკ-ის მე-18 და 58-ე მუხლების აშკარა და უხეში დარღვევებით, არასრულად და არაობიექტურად; მანქანის საბარგულიდან ამოღებულია ორი ცალი „სკოჩი“, ხოლო სალონიდან - ნიღბები, რომელთა კონკრეტული რაოდენობა არ არის მითითებული; მათზე არ ჩატარებულა ოდოროლოგიური, ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზები; ნივთმტკიცებათა ამოღებასა და დალუქვას არ ესწრებოდნენ დამსწრეები, დალუქვაში კი მონაწილეობა არ მიაღებინეს თავად გ. ს-იას; ექსპერტ გ. ე-ვას ჩვენებით, გ. ს-იასაგან ამოღებული იარაღი საფანტისაა და მისი შენახვა არ არის დასჯადი; დაირღვა სსსკ-ის 347-ე მუხლის მოთხოვნები გ. ი-შვილის მიერ გ. ს-იას ამოცნობასთან დაკავშირებით, ამიტომ სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმები დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი; ასევე დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი სსსკ-ის 321-ე, 323-ე, 326-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებული ამოღების საგამოძიებო მოქმედების ოქმები და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა; საქმეში „მტკიცებულების“ სახით დევს შსს თანამშრომლების ფარული ჩანაწერი ყაჩაღობის მომზადებაზე და იგი ასევე უნდა იქნეს ცნობილი დაუშვებელ მტკიცებულებად; გ. ს-ია თავის ჩვენებაში ადასტურებს რაღაც ჩანაწერის არსებობას, რომელიც შესრულებულია შსს თანამშრომლების ფსიქოლოგიური ზეწოლისა და შანტაჟის ქვეშ; მას დაემუქრნენ მეუღლის დაჭერით; გ. ფ-ვამ ექვმიტანილად დაკითხვისას აღიარა დანაშაულის ჩადენა და ხელი დაადო გ. ს-იას, ხოლო სასამართლო გამოძიებისას განმარტა, რომ მსგავსი შინაარსის ჩვენების ჩამორთმევის მიზნით მასზე იყო ზეწოლა; რაც შეეხება ზ. ჯ-ძეს, მას საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ უღიარებია ყაჩაღობის ფაქტი და მასში გ. ს-იას მონაწილეობა; ლ. კ-იას განმარტებით, იგი მსჯავრდებულებთან იყო მეგობრულ ურთიერთობაში; გ. ს-ია იბრძოდა აფხაზეთში, რა დროსაც ის დაიჭრა; არის ომის ვეტერანი, ხასიათდება დადებითად, კმაყოფაზე ჰყავს ავადმყოფი მამა, რომელსაც აქვს მე-4 ხარისხის ონკოლოგიური დაავადება, პენსიონერი და ინვალიდი დედა, მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ა. ტ-ვა ითხოვს განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, გ. ს-იას გამართლებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით - მისთვის 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

ადვოკატი ი. ნ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი გ. ფ-ვას მიმართ უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. ფ-ვას ჩვენებით, მას გ. ი-შვილის დაყაჩაღება შესთავაზა ვინმე თ. კ-იამ; მათთან ერთად იყო მესამე პირიც, რომელსაც ის არ იცნობდა; დაყაჩაღების შემდეგ მას მისცეს 100 ლარი და „მონობარათების“ 2 თუ 3 შეკვრა, რომლებიც გაყიდა და გააჩუქა; გ. ფ-ვა იცნობდა გ. ს-იასა და ლ. კ-იას, ზ. ჯ-მეს კი - არა; 2006 წლის 23 ივნისს იგი გ. ს-იასთან ერთად წავიდა ფულის სასესხებლად, გზაში შეხვდათ სგ. ს-იას ნაცნობი ზ. ჯ-მე, ხოლო სიგარეტის საყიდლად მანქანის გაჩერების დროს კი დააკავეს პოლიციელებმა; მანქანიდან ამოღებული „სკოჩი“, ნიღბები და იარაღები მათ არ ჰქონიათ; მისი ეს ჩვენება დაადასტურეს გ. ს-იამ და ზ. ჯ-მემ; ლ. კ-ია ვერც კი უშვებს იმას, რომ გ. ფ-ვას შეეძლო, მოემზადებინა მის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა და ეს ყოველივე „შეთითხნა“ ბრალდებაში; გამოძიებამ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 347-ე მუხლის მოთხოვნები გ. ი-შვილის მიერ გ. ფ-ვას ფოტოსურათებით ამოცნობის შესახებ, ამიტომ ამოცნობის ოქმები დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი; დაზარალებულმა ც. უ-შვილმა ვერ ამოიცნო ვერც გ. ფ-ვა და ვერც - გ. ს-ია, თუმცა ყაჩაღებს ნიღბები არ კეთებიათ; სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები დაინტერესებული პირები არიან და ბევრს ცრუობენ; საქმის მასალების ანალიზით დგინდება, რომ გ. ფ-ვას ქმედებაში არ მოიპოვება დანაშაულის ნიშნები, გარდა ძარცვისა, რასაც ის აღიარებს; სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა, რომ იგი პირველადაა სამართალში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ი. ნ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას საქართველოს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში, გ. ფ-ვას ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებიდან 178-ე მუხლზე და სასჯელის შემცირებას.

ადვოკატი ს. ფ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ზ. ჯ-მის მიმართ დაუსაბუთებელი და უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან იგი აგებულია უსაფუძვლო ვარაუდებზე და არ არის გამყარებული უტყუარი მტკიცებულებებით; სასამართლომ ეჭვი არ გადაწვიტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ, ყოველგვარი შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე გაიზიარა ბრალდების პოზიცია; დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები; საქმეში არ მოიპოვება არანაირი უტყუარი მტკიცებულება, რომ ზ. ჯ-მემ ჩაიდინა მასზე შერაცხული დანაშაული; დაუდგენელია, სად, ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ზ. ჯ-მემ, რომლის ჩვენებით, მას იარაღი არ ჰქონია, იგი ჩაუდეს პოლიციელებმა თავიანთი პოზიციის გამამყარებლად, რაც დასტურდება სხვა მსჯავრდებულების ჩვენებებითაც; იარაღზე არ ჩატარებულა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, რომელიც გამორიცხავდა ზ. ჯ-მის მიერ მისი ტარების ფაქტს; დაუსაბუთებელია ბრალდება ყაჩაღობის მომზადების ნაწილშიც, რადგან გამოძიება ეყრდნობა მხოლოდ კანონმდებლობის უხეში დარღვევით მოპოვებულ ფარულ ჩანაწერს, რომლის გაანალიზებითაც კი არ დასტურდება ლ. კ-იას ოჯახზე ყაჩაღობის მომზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ს. ფ-ია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენის გაუქმებას, ზ. ჯ-მის გამართლებას და პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორების მოტივები მტკიცებულებათა არასაკმარისობისა და მათი საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვების შესახებ უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული, კერძოდ:

ავტომანქანის ჩხრეკის დაწყებამდე გ. ს-იას განემართა დამსწრეთა მოწვევის უფლება, რაზეც მან უარი განაცხადა და თავისი პასუხი ხელმოწერით დაადასტურა. ჩხრეკის ოქმში ნათლადაა აღნიშნული, რომ ავტომანქანიდან ამოღებულია ორი ნიღბი და ამდენივე ე.წ. „სკოჩი“, რომლებიც დაილუქა. საგამოძიებო მოქმედების ოქმს გაეცნო გ. ს-ია, შენიშვნა არ გამოუთქვამს და მას ხელი მოაწერა.



მსჯავრდებულთა პირადი ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და, ფაქტობრივად, ვერც კასატორები უთითებენ საწინააღმდეგოს. ის გარემოება, რომ ამოღებულ საგნებზე არ ჩატარდა დაქტილოსკოპიური, ოდოროლოგიური და ბიოლოგიური ექსპერტიზები, მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის დარღვევაზე არ მეტყველებს.

როგორც ირკვევა, ჩხრეკის შედეგად ამოღებული იარაღები საექსპერტო დაწესებულებას გამოსაკვლევად გადაეცა ექვმიტანილთა დაკავების დღესვე. ისინი შეფუთული და დალუქული იყო. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით გ. ს-იასა და გ. ფ-ვასაგან ამოღებული პისტოლეტები თავდაცვითი დანიშნულებისაა, მაგრამ მათი კონსტრუქცია შეცვლილია - არ აქვთ ტიხარი, რის გამოც მიეკუთვნებიან ატიპიურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. ზ. ჯ-ძისაგან ამოღებული იარაღი „P.BEღEთA“-ს ფირმისაა, დამზადებულია ქარხნული წესით და წარმოადგენს ცეცხლსასროლ იარაღს, ხოლო 8 ვაზნა მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ისევე როგორც აღნიშნული პისტოლეტი, ვარგისია გამოსაყენებლად.

ექსპერტიზის დასკვნის ირგვლივ სასამართლოში ამომწურავად დაიკითხა მისი ავტორიც, რომელმაც დაადასტურა თავისი კვლევის შედეგები.

ადვოკატი ა. ტ-ვა მიუთითებს, რომ საგნების ამოღება და დალუქვა მოხდა გ. ს-იასა და დამსწრეთა გარეშე, რითაც დაირღვა სსსკ-ის 121-ე-122-ე მუხლების მოთხოვნები.

პალატა აღნიშნავს, ადვოკატის ეს მოტივი საფუძვლიანი იქნებოდა, თუ სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, საგამომიებო მოქმედების დროს მოიწვევდნენ დამსწრეს, რაც, როგორც აღნიშნა, არ მომხდარა. ამასთან, გ. ს-იასაგან ამოღებული პისტოლეტი დალუქული იყო და ლუქზე აღინიშნებოდა ამ უკანასკნელის ხელმოწერაც.

დაზარალებულმა გ. ი-შვილმა საქმის წინასწარი გამოძიებისას, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში დამაჯერებლად და კატეგორიულად მიუთითა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხნენ გ. ს-ია და გ. ფ-ვა, რომლებიც ამოიგნო ფოტოსურათებით და პირადად. დაზარალებულმა განმარტა, რომ თავდამსხმელები შეიარაღებულები იყვნენ გადაჭრილი თოფითა და პისტოლეტით, ნიღბები არ ეკეთათ და მათ სახეზე აკვირდებოდა.

საფუძველს მოკლებულია მითითება საქმის წინასწარი გამოძიებისას მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რადგან აღნიშნული არ გამომდინარეობს თვით გ. ფ-ვასა და გ. ს-იას მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებებიდანაც. გ. ფ-ვამ განმარტა, რომ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით ბრალის აღიარების შემთხვევაში დაჰპირდნენ ალკვეთის ღონისძიებად გირაოს შერჩევას. ამასთან, გ. ფ-ვამ სწორედ სასამართლოში აღიარა გ. ი-შვილის მიმართ ჩადენილი დანაშაული, რის შესახებ წინასწარი გამოძიებისას ჩვენება არ მიუცია. გ. ს-იას ჩვენებით, მისგან მოითხოვდნენ ყაჩაღობის მომზადების აღიარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ მეუღლის დაპატიმრებით. ამავე დროს გ. ს-ია აღნიშნავს, რომ გამოიყენა დუმილის უფლება, ყაჩაღობის მომზადება არ აღიარა და ჩვენება მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით მისცა. ამდენად, თვით გ. ს-იას ჩვენების ანალიზით, მის მიერ საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკითხვის დროს ზეწოლა არ მომხდარა, მით უფრო, რომ შემდგომი დაკითხვებისას იგი დუმილის უფლებას იყენებდა. გ. ს-იასა და გ. ფ-ვას მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებები საგულისხმოა სხვა მხრივაც. გ. ს-ია აღნიშნავს, რომ როგორც გ. ფ-ვამ თქვა, იგი მიდიოდა ბიძასთან ფულის სასესხებლად, "თუ არ მომცა წავართმევო", მაგრამ ეს ნათქვამი გ. ს-იას სერიოზულად არც მიუღია. გ. ფ-ვამ განმარტა, რომ ავტომანქანაში ყაჩაღობაზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა ხუმრობით თქვა: "ფულის სასესხებლად მივიდივარ, თუ არ მომცა, ამას ვანახებო". გ. ფ-ვას ჩვენების საპირისპიროდ, გ. ს-იამ სასამართლოში არ უარყო, რომ ჰქონდა იარაღი. ზ. ჯ-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ იარაღი შარვლიდან ამოუღეს და დააწერინეს - იარაღი ვიპოვეო. მისივე ჩვენებით, სთხოვდნენ აეხსნა - რატომ შეხვდა გ. ს-იას, ამასთან, არ ემუქრებოდნენ და რასაც თვითონ კარნახობდა, იმას წერდნენ.

მოწმეების - ვ. ხ-შვილის, გ. კ-ვას და მ. გ-შვილის ჩვენებებით, მიიღეს ინფორმაცია ყაჩაღური თავდასხმის მომზადების შესახებ. დააკავეს სამი შეიარაღებული პირი. გარდა იარაღებისა, ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ორი ნიღაბი და ე.წ. "სკოჩი".

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული არაერთი უტყუარი მტკიცებულება, რომელთა ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით სააპელაციო პალატამ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი. ამასთან, არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ, 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის. მსჯავრდებულთა მიერ ყაჩაღობის მომზადებისას მოქმედი სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენდა მძიმე დანაშაულს, რის გამოც სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, გ. ს-იას, გ. ფ-ვასა და ზ. ჯ-ძის მი-

მართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

გარდა ამისა, გ. ფ-ვასა და გ. ს-იას სსკ-ის 179-ე მუხლითა და მე-18, 179-ე მუხლით არასწორად დაენიშნათ ცალ-ცალკე სასჯელი, რადგან მათ მიერ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისას მოქმედი სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახეზე იყო ერთი მუხლით გათვალისწინებული არაერთგზისი დანაშაული, რაც მხოლოდ ერთი სასჯელის დანიშვნას გულისხმობდა. მართალია, გ. ფ-ვასა და გ. ს-იას ქმედება, მატერიალური კანონის მოთხოვნათა დარღვევით, არ დაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითაც (ყაჩაღობის მომზადება არაერთგზის), მაგრამ მატერიალური კანონის მოთხოვნის ამ დარღვევამ მნიშვნელოვნად გააუარესა მსჯავრდებულთა მდგომარეობა და საბოლოოდ გამოიწვია მეტისმეტად მკაცრი სასჯელების დანიშვნა, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპსაც. აღნიშნულის გამო, გ. ფ-ვასა და გ. ს-იას სსკ-ის 179-ე მუხლითა და მე-18, 179-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის უნდა დაენიშნოთ ერთი სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, გ. ს-იას უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელები.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - გ. ს-იას, გ. ფ-ვასა და ზ. ჯ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ა. ტ-ვას, ი. ნ-შვილისა და ს. ფ-იას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხო სსკ-ის მე-18, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში გ. ფ-ვას, გ. ს-იას და ზ. ჯ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გ. ფ-ვას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით და მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. ს-იას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით და მე-18, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ს-იას გაუნახევრდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ამავე კანონის შესაბამისად, გ. ს-იას გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დარჩეს ზ. ჯ-ძის მსჯავრდების ნაწილში;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. ფ-ვას საბოლოოდ განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა; გ. ს-იას საბოლოოდ განესაზღვროს 13 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#1117-აპ-08

30 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. კ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენზე მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის მიმართ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნით ი. ტ-შვილს ბრალი ედებათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულში, როგორცაა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 31 აგვისტოს წყალტუბოს რაიონში სტუმრად მყოფმა ი. ტ-შვილმა ამავე სოფელში, საავტომობილო გზაზე ქვეითად მოძრავ დაზარალებულს - დ. ფ-შვილს გამოგლიჯა ხელჩანთა და შეეცადა გაქცევას, რა დროსაც მას დაედევნა ამ უკანასკნელის თანმხლები ლ. ფ-შვილი. მდევრისგან თავის დასაღწევად და დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად ი. ტ-შვილი თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით დაემუქრა ლ. ფ-შვილს სიცოცხლის მოსპობით, რითაც აიძულა იგი, შეეწყვიტა დევნა. ამის შემდეგ ი. ტ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა დაზარალებულ დ. ფ-შვილის კუთვნილი თანხა - 220 ლარი, ხოლო ხელჩანთა მასში არსებული დოკუმენტებითა და სხვა ნივთებით იქვე დატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

ი. ტ-შვილის ბრალდების საქმე განიხილა წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ, რომელმაც 2008 წლის 18 თებერვლის განაჩენით მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ვინაიდან მიიჩნია, რომ ი. ტ-შვილმა აღნიშნული ქმედებით ჩაიდინა არა ყაჩაღობა, არამედ - ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქმედების ჩადენისას იგი იყო ძარცვისათვის ნასამართლობის მქონე.

სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ტ-შვილს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 11 თვითა და 27 დღით, რის შედეგადაც ი. ტ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, 11 დღითა და 27 დღით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. ხ-შვილმა და მსჯავრდებულმა ი. ტ-შვილმა. აპელანტი, სახელმწიფო ბრალმძებელი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის განაჩენში მსჯავრდებულის საუარესოდ ცვლილების შეტანას, კერძოდ, ი. ტ-შვილის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის სასჯელის ზომად 6 წლისა და 4 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, საბოლოოდ კი განაჩენთა ერთობლიობით - თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას 10 წლით, 3 თვითა და 27 დღით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრებას 3500 ლარის ოდენობით. აპელანტი აღნიშნულს ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ სასამართლოს არგუმენტაცია კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში არასწორია, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება მატერიალურ დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის დადგომისას, ხოლო ი. ტ-შვილის ძარცვით დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება ასეთის მცდელობის სტადიაზე გადაიზარდა ყაჩაღობაში, ამ შემადგენლობისათვის დამახასიათებელი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით თავდასხმაში.

აპელანტი, მსჯავრდებული ი. ტ-შვილი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში მის სასიკეთოდ ცვლილების შეტანასა და თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 14 მაისის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტების მოთხოვნები, ვინაიდან ისინი მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან (მითითებული რედაქცია) გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ვინაიდან მიიჩნია, რომ ი. ტ-შვილს საბრალდებო დასკვნით დანაშაულის არაერთგზის ჩადენაში ბრალი არ ედებათა, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლო თავის განაჩენში ამ ნაწილში გასცდა საბრალდებო დასკვნით განსაზღვრული ბრალდების ფარგლებს. აღნიშ-

ნული კვალიფიკაციის საფუძველზე სასამართლომ მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დაუმატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 5 თვითა და 27 დღით, რის შედეგადაც საბოლოოდ ი. ტ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 5 თვითა და 27 დღით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ი. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ახალი განხილვისათვის, ვინაიდან მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა - როგორც ძარცვა. კასატორის აზრით, მართალია, ი. ტ-შვილის ქმედება თავდაპირველად დაიწყო როგორც ძარცვა, მაგრამ ამ დანაშაულის დამთავრება მან ვერ მოასწრო, რადგან მას მაშინვე გამოეძევნა ლ. ფ-შვილი და დაეწია კიდეც, რის გამოც ი. ტ-შვილს არ მიეცა შესაძლებლობა, რეალურად განეკარგა მის მიერ გატაცებული თანხა. ვინაიდან ი. ტ-შვილმა დაზარალებულ ლ. ფ-შვილის მიმართ იმ მომენტში, როდესაც იგი ჯერ კიდევ რეალურად ვერ განკარგავდა თავის მიერ გატაცებულ თანხას, გამოიყენა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარა და სწორედ ამ გზით დააღწია თავი მძევარს, რის შედეგადაც მან შეძლო საბოლოოდ დაუფლებოდა დაზარალებულის კუთვნილ თანხას და თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა იგი, რის გამოც მისი ქმედება ძარცვიდან გადაიზარდა ყაჩაღობაში.

საკასაციო საჩივარზე შესაგებელი შეიტანა მსჯავრდებულმა ი. ტ-შვილმა, რომელიც ითხოვს, რომ კასატორის, პროკურორ ი. კ-შვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს, რადგან იგი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ თავის განაჩენში ჩამოყალიბებულ პოზიციას, რომელშიც იგი განმარტავს: "საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ი. ტ-შვილმა დაზარალებულს ხელიდან უეცრად გამოსტაცა ხელჩანთა. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ი. ტ-შვილს თავდასხმის დროს იარაღი არ გამოუყენებია. ის დაეუფლა დაზარალებულის ქონებას ყოველგვარი იარაღის გამოყენების გარეშე. ძარცვა კი დამთავრებულია, თუ დამნაშავე ფაქტობრივად დაეუფლა დაზარალებულის ქონებას. მოცემულ შემთხვევაში ი. ტ-შვილი ფაქტობრივად დაეუფლა ხელჩანთას. რაც შეეხება ძარცვის დამთავრების შემდგომ დადევნებულ დაზარალებულ ლ. ფ-შვილზე ი. ტ-შვილის მხრიდან განხორციელებულ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მუქარას, აღნიშნული მოხდა ძარცვის დამთავრების შემდეგ, რითაც მსჯავრდებულს სურდა, თავიდან აეცილებინა მისი შეპყრობა და ასევე მის მიერ უკანონოდ დაუფლებული ქონების წართმევა".

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ შეიძლება ძარცვისა და ქურდობის ქმედებების შემადგენლობის დამთავრებულად მიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ სხვის მოძრავ ნივთს ფიზიკურად ხელი ჩავლო და თუნდაც მისი ადგილსამყოფლიდან გადაადგილა, თუკი იგი იმავდროულად, მისი ნებისგან დამოუკიდებელი და მისთვის ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებს თავისი სურვილის შესაბამისად მის ფაქტობრივ განკარგვას, რადგან მოკლებულია საამისოდ საჭირო რეალურ შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არასდროს არ იარსებებს ქურდობისა და ძარცვის მცდელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის საგანია ისეთი მოძრავი ნივთი, რომლის ხელში აღება და გადაადგილება ადამიანს თავისუფლად შეუძლია რაიმე დამხმარე საშუალების (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების) გამოუყენებლად და რომლის ფიზიკური დაუფლება და ადგილიდან დაძვრა მან მოახერხა კიდეც, მაგრამ იმავე წუთს იგი დააკავეს, ან აღნიშნული ნივთი გადაადგილებისას ხელიდან გაუვარდა და ა.შ. მაგალითად, თუკი ჯიბის ქურდმა დაზარალებულის ჯიბეში ხელი ჩაყო, მის კუთვნილ ფულს ან ძვირფას ნივთს ხელი მოჰკიდა, ის ჯიბიდან ამოიღო და შეეცადა გაქცევას, რა დროსაც დააკავეს ისე, რომ ვერ შეძლო გატაცებული ნივთის თუნდაც გადაძალვა ან სხვა გზით თავიდან მოშორებაც კი, უნდა ჩაგვეთვალოს დამთავრებულ დანაშაულად, რაც იქნებოდა დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის ცნებების აშკარად არასწორი ინტერპრეტაცია ანუ კანონმდებლობის მიერ შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული ინსტიტუტის ნამდვილი სამართლებრივი არსის აშკარად შეუსაბამო განმარტება. ამიტომ მსგავს დანაშაულთა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, არის თუ არა დანაშაული დამთავრებული, საქმის კონკრეტუ-

ლი გარემოებების ხასიათის, შინაარსისა და მნიშვნელობის, ქმედების ჩადენის ვითარების, აგრეთვე დაწყებული დანაშაულის გაგრძელებისათვის არსებული რეალური შესაძლებლობებისა და დამნაშავეს მიერ ამ შესაძლებლობათა გამოყენებლობის მიზეზების გათვალისწინებით.

განხილულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კასატორი თავის საჩივარში მართებულად აღნიშნავს, რომ მარცვის დამთავრებულად მიჩნევისათვის დამნაშავეს უნდა გააჩნდეს მის ხელთ არსებული მოძრავი ნივთის ფაქტობრივი გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო თუ სუბიექტი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია, სახეზეა მცდელობა და არა - დამთავრებული დანაშაული. ამდენად, მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის ქმედება, რომელიც დაიწყო მარცვის სახით, იმის გამო, რომ მას დაუყოვნებლივ დაედევნა დაზარალებული ლ. ფ-შვილი, რის შედეგადაც მან ფიზიკურად ვერ მოახერხა უკვე მის ხელთ არსებული ჩანთის გახსნაც კი და იქიდან ფულის ამოღება, მარცვის მცდელობის სტადიაზევე გადაიზარდა ყაჩაღობაში და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ი. ტ-შვილმა, რომელმაც თავი ვერ დააღწია მდევარს, მიმართა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას, რითაც ჩამოიცილა დაზარალებული ლ. ფ-შვილი.

იზიარებს რა კასატორ ი. კ-შვილის სავსებით დასაბუთებულ პოზიციას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ი. ტ-შვილის ბრალდების საქმეზე არასწორად განმარტა სისხლის სამართლის კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონის არასწორად გამოყენების გამო, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა და 564-ე მუხლისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენი ი. ტ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა მოხდეს საქმეზე რეალურად არსებული ფაქტობრივი გარემოებების მართებული სამართლებრივი შეფასება და მსჯავრდებულ ი. ტ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მიცემა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ქუთაისის პროკურატურის პროკურორ ი. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენი ი. ტ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.